KAROL WOJTYŁA

PRZED SKLEPEM JUBILERA

MEDYTACJA O SAKRAMENCIE MAŁŻEŃSTWA
PRZECHODZĄCA CHWILAMI W DRAMAT

PRZEŁOŻYŁ
Giwi Szachnazari

"NAKADULI" TBILISI
1999

კაროლ ვოიტილა
იოანე-პავლე II

ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ

ფიოდაფო ფიამად ქცეული მედიტაციები ქოხნინების საიდუმლოებაზე

თარგმნა
გიორგი შაჰნაზარმა

თბილისი „ნაკადული"
1999

84 - 4 (2 P)
882
3 89

© „ნაკადული", 1999

წინასიტყვაობა

კათოლიკური სამყაროს პირველი პირი მისი უწმინდესობა იოანე-პავლე II — ჩვენი დროის დიდი მოაზროვნე, პოეტიც არის და დრამატურგიც. აქ უჩვეულო არაფერია. განა ვიზიონერული პოეზიით არ გამოხატავდნენ თავიანთ ხილვებს მოციქულები და წმინდანები? თეატრალური შემოქმედების საფუძვლები კი ყველგან რელიგიასთან იყო დაკავშირებული. სამწუხაროა, რომ სეკულარიზაციამ ზოგან სრული განკვეთა გამოიწვია. არადა, იმას, რასაც ესოდენ ღრმა ფესვები აქვს, ვერ აღმოფხვრი და თუკი ობლად მიუშვებ, ისეთ ნაყოფს გამოიღებს, რასაც დღეს ვიმკით — აგრესიით, ავხორცობით და სიძულვილით აღსავსე ფსევდოხელოვნების სახით.

იოანე-პავლე II თეატრის ქრისტიანობის არსთან (სიყვარულთან) დაკავშირებას ცდილობს: „სიყვარული უეჭველად დრამაა იმ გაგებით, რომ იგი ერთგვარი ქმედობაც არის და ამავე დროს მოქმედებაც და სწორედ ამას გულისხმობს ბერძნული სიტყვა drao, რომლისგანაც მოდის „დრამა“. ამგვარად dramatis personal x და y თავიანთ თავში აღმოაჩენენ დრამის სიუჟეტს, აღმოაჩენენ სიყვარულს — განუმეორებელ ფსიქოლოგიურ სიტუაციას, რომელიც მათი შინაგანი არსის მეტად მნიშვნელოვან მააბსორბცირებელ ფაქტორს წარმოადგენს“.

„ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ“ კაროლ ვოიტილას ეპისკოპოსობის დროს დაიწერა 1960 წელს პოლონურ ენაზე. ეს ავტორის ერთადერთი პიესა არ არის — სხვა პიესებიც აქვს. მის უწმიდესობას ყოველთვის უყვარდა თეატრი. ახალგაზრდობაში

გამოდიოდა კიდეც სცენაზე, როგორც მსახიობი. 1941 წელს, პოლონეთის ოკუპაციის დროს, მ. კოტლიარჩიკთან ერთად შექმნა თეატრი კრაკოვში. ეს თეატრი მთავრობამ 1953 წელს დახურა. კაროლ ვოიტილას სასულიერო წოდების მიღების შემდეგაც არ გაუწყვეტია თეატრთან კავშირი — რეგულარულად წერდა მიმოხილვებს და რეცენზიებს. მონაწილეობდა რა თეატრის მუშაობაში, როგორც დრამატურგი, თეორეტიკოსი და მსახიობი, მან ხელი შეუწყო განსაკუთრებული სახის თეატრის განვითარებას — ე. წ. რაფსოდიული ანუ სიტყვის თეატრის განვითარებას. ვოიტილა-დრამატურგმა თეატრალური პირობითობა ქრისტიანული მისტიკური თეატრის ფესვებს დაუკავშირა, სადაც ადამიანის ცხოვრება (შინაგანი და გარეგანი) განგების თვალთახედვით განიხილება, ანუ როგორც ერთი მთლიანობა.

კაროლ ვოიტილა განუწყვეტლივ ავითარებდა რელიგიური თეატრის თანამედროვე ფორმას და ამავ დროს იგი ნოვატორი დრამატურგია ფართო მნიშვნელობითაც.

„ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ"... ამ ნაწარმოების ჟანრს ავტორი ასე განსაზღვრავს: „დროდადრო დრამად ქცეული მედიტაციები ქორწინების საიდუმლოებაზე". 1960 წელს პიესის დრამატურგიული ფორმაც კი ნოვატორული იყო*. პიესაში მოქმედება გარეგან მოვლენებზე არ არის აგებული. აქ მთავარია ზნეობრივი ურთიერთობების, გამოყენებული თუ გამორჩეული შესაძლებლობების დინება და, ცხადია, ნაწარმოებს რეფლექსიური ხასიათი აქვს. გარდა ამისა, მოვლენები ქრონოლოგიურად არ

*მოგვიანებით, პაროლდ პინტერმა თავისი „პეიზაჟი", „დუმილი", „ოჯახის ხმები" მსგავს პრინციპზე ააგო, მაგრამ მის ნაწარმოებებს სრულიად სხვანაირი შინაგანი დატვირთვა აქვს.

ვითარდებიან, უფრო მეტიც — აქ არ არის კონკრეტული დრო და სივრცე. პიესის შინაგანი მოძრაობა ერთდროულად წარსულშიც ხდება და აწყმოშიც, რაც მეტაფიზიკურ პერსპექტივას წარმოაჩენს. ავტორი გულისხმობს და ეს პიესაში ნათლად ჩანს, რომ უფალი ყოველი ადამიანის ცხოვრებას ხედავს მთელი სისრულით, თან მთლიანად, ერთიანად და არა ამა თუ იმ მომენტში. აქ ადამიანი მეტაფიზიკური თვალსაზრისით განიხილება: ოქრომჭედელი და მისი სახელოსნო არსებობენ ან არ არსებობენ იქიდან გამომდინარე — გვაქვს თუ არა გვაქვს ჩვენ მათი შემჩნევის სურვილი და მოთხოვნილება. რაფსოდიული თეატრის პრინციპიდან გამომდინარე დრამაში სიტყვას აქვს არა პოპულარული, არამედ სუფთა იდეის მნიშვნელობა. აქ არის არა ფაბულა, არამედ პრობლემა — პრობლემა თამაშობს. რაფსოდიული თეატრისთვის პრობლემა აბსტრაქციაა, ამიტომ ფაბულის დასამუშავებლად არ არის გამოყენებული; თუ არის ფაბულა, ის პრობლემის მიღმაა. აქ ორი კონცეფციიდან (I ფსიქოლოგიურ-ემპირიული და II მსოფლმხედველურ-აბსტრაქციული) არც ერთი არ არის აქტუალური — ორივე კონცეფცია ერთმანეთს ავსებს.

ყოველივე ეს ძალზე უჩვეულოა და ძნელი, თუმცა ამავ დროს პიესა ძალიან უბრალო (კარგი გაგებით) ამბავზეა აგებული და ამ მხრივ ნათელი და გამჭირვალეა. თან პრობლემაა ყველასთვის და ყოველთვის საჭირბოროტო და ცხოველი. ეს პრობლემა — ქალისა და მამაკაცის სიყვარულია და ის ხიფათიანი ნაპრალი, რომელსაც ის მიჰყვება. „უსიყვარულოდ ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია“ — არის პიესაში ასეთი ფრაზა. და, საზოგადოდ, შეიძლება ითქვას, რომ პიესა სიყვარულზეა.

იოანე-პავლე II თავისი ფილოსოფიური თხზულების „სიყვა-

რული და პასუხისმგებლობა“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობას ასე იწყებს: „გავრცელებულია აზრი, თითქოსდა ქორწინების თემაზე აზრის გამოთქმა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც დაქორწინებულია; ქალისა და მამაკაცის სიყვარულზე კი მას — ვინც თავად განიცადა; ამგვარი მიდგომისას პირად და უშუალო გამოცდილებას ითხოვენ. კათოლიკე სასულიერო პირებს ცელიბატის გამო მავანთა აზრით, აზრის გამოთქმის უფლებაც ჩამორთმეული აქვთ. მაგრამ ისინი მაინც ხშირად გამოთქვამენ თავიანთ აზრს და ხშირად წერენ ამ საკითხებზე. საკუთარი, პირადი გამოცდილების უქონლობა არ არის ხელისშემშლელი, ვინაიდან მათ თავიანთი მოძღვრული სამსახურიდან მოპოვებული ძალიან მდიდარი არაპირდაპირი გამოცდილება აქვთ...“ მავანმა, შესაძლოა, სასულიერო პირისთვის შეუფერებლად მიიჩნიოს სიყვარულზე მსჯელობა. არადა, სწორედ ქრისტიანულმა რელიგიამ შემოიტანა სიყვარულის ცნების არათუ სრულიად ახალი ინტერპრეტაცია, არამედ სიყვარული აქცია სუბსტანციად. საუბედუროდ, ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ, რომ სიყვარული სამ ძირითად ბურჯს შორის, — როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, — „უფროსს არს“ (კორინთელთა მიმართ 13:13). ქრისტიანულ ეთიკაში, რომელიც საწყისს სახარებაში იღებს, არსებობს პრობლემა, რომელსაც იოანე-პავლე II განსაზღვრავს, როგორც „სიყვარულის სიყვარულით გამდიდრებას“. პირველ შემთხვევაში სიტყვა „სიყვარული“ იმას ნიშნავს, რაც მთავარი მცნების არსს წარმოადგენს, მეორე „სიყვარული“ კი იმას გულისხმობს, რაც ქალსა და მამაკაცს შორის სქესობრივი ლტოლვის შედეგად წარმოიქმნება. პრობლემა ის არის, რომ მეორე „სიყვარული“ პირველს გაუტოლდეს, ე. ი. იმას, რომელსაც სახარება აცხადებს.

რამდენიმე ციტატა ფილოსოფიური თხზულებიდან „სიყვარული და პასუხისმგებლობა“:

„სახარებას კითხულობენ როგორც მორწმუნენი, ასევე ურწმუნონიც. სიყვარულის მცნებაში პირველნი აღმოაჩენენ მთელი ზებუნებრივი წესრიგის მთავარ შემაკავშირებელ რგოლს...“

„სიყვარული — ადამიანში არსებული შესაძლებლობების ყველაზე სრული რეალიზაციაა“. „სიყვარული მართლაც უმაღლესი ზნეობრივი ფასეულობაა“.

„ადამიანი შემოქმედებისათვის განწირული არსებაა. შემოქმედება სიყვარულის სფეროშიც ავალდებულებს, მაგრამ დიდი სიყვარული მხოლოდ პიროვნებების საქმე შეიძლება იყოს — და წყალობის საქმე... წყალობის, მადლის მოქმედება ადამიანის წამოწყებებშია დაფარული, როგორც უხილავი შემოქმედის მონაწილეობა, რომელიც თავად არის რა სიყვარული, სხვადასხვა სახის სიყვარულის ფორმირების ძალას ფლობს, მათ შორის იმისაც, რომელიც თავის ბუნებრივ განვითარებაში სქესისა და სხეულის ღირებულებებს ეფუძნება — ოღონდ ადამიანებმა მოინდომონ სიყვარულის შექმნა მასთან ერთად“.

„სქესობრივი იმპულსის მეშვეობით მამაკაცი და ქალი არსებობის გადაცემის კოსმოსურ დინებაში ებმებიან“.

თანამედროვე კათოლიკე მამებმა, სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად, სიყვარულის უმწვავესი პრობლემაც თავის ჭეშმარიტ წიაღს დაუბრუნეს, გენიალურ წინამორბედთა * (*მაისტერ ეკჰარტი, სან ხუან დე ლა კრუსი, ფრაი ლუის დე ლეონი, წმ. ტერესა ავილელი და სხვანი. ამჯერად სხვა სარწმუნოებათა იმ წარმომადგენლებს არ ჩამოვთვლი, რომელნიც აგრეთვე homo amans (მოსიყვარულე ადამიანი) იდეის მიმდევარნი არი-

ან). კვალდაკვალ სქესობრივი ეთიკა ამჟამინდელ თეორიასა და პრაქტიკაში ჰედონიზირებული სიყვარულის ფიზიოლოგიისაგან დემონოპოლიზაციას შეუდგნენ.

იოანე-პავლე II-ის მოღვაწეობასა და შემოქმედებაში განსაკუთრებით ნათლად გაცხადდა მისი დიდი წინამორბედი პაპის პავლე VI-ის შეგონება: „ეკლესიას ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად ორი შესაძლებლობა აქვს. ერთი ის არის, რომ დაუკავშირდეს გარესამყაროს და მისი ენით ილაპარაკოს, შეითვისოს მისი წესები და აზროვნება, მიმდინარე ისტორიაში ჩაერთოს. მეორე შესაძლებლობა ის არის, რომ ეკლესიამ თავის თავში ეძიოს თავისი ჭეშმარიტების ულევი ცხოველმყოფელობა, თავისი ტრადიციული თანმიმდევრულობა. ორივე შესაძლებლობა კარგია, თუკი ისინი გონივრულად შეავსებენ ერთიმეორეს“.

მედეა კუჭუხიძე

პირველი მოქმედება

ძახილი
(ტერესა, ანჯეი)

1.

ტერესა

დღეს, ნაშუადღევს, ხელი მთხოვა ანჯეიმ; ასე
ხუთი ან ექვსი იქნებოდა; მართალი გითხრათ,
ზუსტ დროს ვერ ვიტყვი, საათისთვის არ დამიხედავს
და არც რატუშის ძველი კოშკის კედელი ჩანდა...
თუმცა, ასეთ დროს ვინ რად აგდებს დროის სიზუსტეს?!
მსგავსი წუთების განცდას განა ზუსტი დრო უნდა!
მახსოვს, მივდევდით ბაზრის მარჯვნივ ორნი ტროტუარს,
უცებ ანჯეი შეჩერდა და მკითხა: „ტერესა,
ჩემი ცხოვრების თანამგზავრი რომ იყო, გინდა?“
ჰო! სიტყვა „ცოლი“ კი არა თქვა, „თანამგზავრიო“.
მაშასადამე, როგორ უნდა ეთქვა სათქმელი,
წინასწარ ჰქონდა ნაფიქრალი... მას ამ დროს მზერა
პირდაპირ ისე მიემართა, თითქოს შიშობდა
ჩემ თვალებს უმალ პასუხი რომ არ შეტყობოდა

და ერთდროულად ხაზგასმით რომ ენიშნებინა,
თუ წინ რა შორი გასავლელი გზა გვედო (რასაც
დასაბამი აქვს, მაგრამ ბოლო სულაც არ უჩანს!)
ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ აგვცდებოდა
მსგავსი გზა, თუკი მიიღებდა თანხმობას ჩემგან.

მე „ჰო“ ვუთხარი,
ოღონდ უცებ კი არა, ალბათ,
ორი ან სამი წუთის შემდეგ... თუმცა ასეთი
შეყოვნება ხომ დაფიქრებას არ ნიშნავს სულაც!
რა სიგიჟეა, ორჭოფობა არც მიფიქრია,
პასუხი აკი იმთავითვე ცნობილი იყო!..

აკი წინდაწინ ანჯეიმაც და მეც ვიცოდით,
ჩვენს წარსულში რომ იშვა იგი და მომავლისკენ
უფრო შორეულ სივრცეებს რომ ელტვოდა ახლა
და როგორც მაქო ფეიქრისა, ჩვენს არსებაში
ბრუნავდა იგი ღრმად და იმ ძაფს ეძებდა, რითაც
ჩვენი ცხოვრების იქსოვება ხატი — მაქმანი...

მახსოვს, ანჯეის ჩემკენ უმალ არ მოუხედავს,
პირდაპირ ისე დაჟინებით იყურებდა,
თითქოს უნდოდა, წინ რომ გვედო გზა გასავლელი,
იმ გზის ბოლომდე მიეწვდინა მახვილი მზერა...

მე ტერესამდე გვარიანი შორი გზა განვვლე;
არ მიპოვია უცებ; კარგად არც ვიცი, როცა
პირველად შევხვდი, წინასწარი მქონდა რამ გრძნობა?..
მართალი გითხრათ, კარგად ვერც კი წარმომედგინა,
რა ბედენაა „სიყვარული ერთი შეხედვით!..“
გამოხდა ხანი და ვირწმუნე, ტერესამ როგორ
მტკიცედ მიიპყრო ყურადღება ჩემი, ან უფრო —
არ დავფარავ და, თვითონ გავხდი იძულებული,
მიმეპყრო მისთვის ყურადღება, ოღონდ, ღმერთმანი,
დათრგუნვას სულაც არ ნიშნავდა ეს იძულება!..

სულო ცოდვილო, ვთქვათ, სხვაგვარად მოვქცეულიყავ,
თუ გნებავთ, ისე მავანთაგან მრავალნი როგორც...
ქმედება ჩემი გონივრული არ იქნებოდა!
ნამდვილად იყო ტერესაში რაღაც ისეთი,
სულისკვეთების ჩემსას რაიც ეტყუპისცალა...

მე, ჩემ მეორე „მე“-ზე დიდხანს ვფიქრობდი მაშინ, —
აკი ტერესა მთელ სამყაროს წარმოადგენდა! —
თუმცა შორეულს ისე, როგორც ნებისმიერი
ჩემთვის უცნობი წარმოადგენს ქალი თუ კაცი, —
და მაინც, რაღაც მკარნახობდა, რამენაირად
ჩვენ შორის ხიდი რომ გამედო; ამ აზრმა ჩემში
ჩემივ ნებითვე დაივანა და განვითარდა...
ჩემ ნებას თითქოს წინ აღვუდექ, ვერ დავიჩემებ!
მე მხოლოდ ერთი მეწინამძღვრა აზრი — გარეგნულ
შთაბეჭდილებას არ ვექციე ყურმოჭრილ მონად,
თორემ საკუთარს დავკარგავდი „მე“-ს და ამგვარად

მეორე „მე“-სთან სიახლოვეს ვერ მივაღწევდი,
რაც ყველაფერზე უფრო რთულად წარმომედგინა...
ყოველ ნაბიჯზე შეხვედრილი ლამაზის ხიბლი
აკი ყოველთვის გრძნობის ცეცხლზე მატრიალებდა!..
აკი ბევრ მათგანს ლანდივითაც ავდევნებივარ,
მაგრამ ერთთავად წავწყდომივარ კუნძულს უდაბურს!..
ასე მივედი ერთ დასკვნამდე: ვნების დამყოლი
სილამაზე რომ, შესაძლოა, მომაკვდინებელ
„ძღვნადაც“ კი გექცეს...
შემხვედრიან მე ისეთებიც,
მრავალთათვის რომ ბოროტების წყაროდ ქცეულან
და მათი ჩარხი უკუღმა რომ უბრუნებიათ.
ასე, თანდათან, სილამაზის ვისწავლე ხიბლი,
სიმართლის ჯუფთი — მიიღწევა რაიც გონებით —
და გადავწყვიტე, მომენახა ვინმე ისეთი,
ჩემ მეორე „მე“-დ ჭეშმარიტად ვინც იქცეოდა,
ხიდად — ჩვენ შორის... მყარ საყრდენად... სიცოცხლის ძალად...
ბევრს გადავყრივარ გრძნობის აღმძვრელ ლამაზ ქალიშვილს,
ფიქრების ამშლელს, მაგრამ... აზრად როს გავივლებდი,
გაცნობის უმალ მბრძანებლის ტახტს იდგამდნენ ჩემში,
მეხსიერების ცხრაკლიტულით გამოხმობილი
უცებ ტერესა გაჩნდებოდა ჩემ გონებაში
და ჩემს უნებურ ვადარებდი მათ და ტერესას;
არადა, აკი ყოველივე მსურდა პირიქით —
არსებას ჩემსას ისერიგად დაუფლებოდნენ,
რომ ტერესასთვის ადგილი არ დარჩენილიყო...
მზადაც კი ვიყავ, თავსმოხვეულ მათ სიჯიუტეს,
მათ შიშველ გრძნობებს მორჩილებით რომ დავყოლოდი;
მე სიყვარულში მსურდა ვნება თავბრუდამხვევი,
თაყვანისცემას ეს იწვევდა ჩემში ჭეშმარიტს, —

გრძნობის აბსოლუტს ვაღმერთებდი, მისი მჯეროდა, —
და ამიტომაც ვერ გამეგო ვერანაირად,
ჩემში ტერესას დავანება რას ეყრდნობოდა,
ან, რას ნიშნავდა მუდმივ მისი ჩემ „მე“-ში ყოფნა!
ანდა — მის ირგვლივ უცნაური ეს რეზონანსი —
„შენ უნდა...“ ვისით იქმნებოდა, ვერ ამომეხსნა;
ამიტომ იყო, რომ არ მსურდა, ახლო მომეშვა,
რასაც მის გულში იჭვის ნემსი უნდა ჩაეგდო...
ფიქრში კი, ფიქრში ტერესაზე რას არ ვფიქრობდი,
ხშირად — უკეთურს, თუმც იმავ დროს კიდეც ვუფრთხოდი;
მეჩვენებოდა, რომ მადევრად მქცეოდა მისი
სიყვარული და გავურბოდი როგორც შემეძლო...
და ასერიგად ინტერესი ტერესასადმი
მიმძაფრდებოდა და სიყვარულს ჭედდა ჭიდილი,
პროტესტის ჯანღში თითქოს ხატი ისახებოდა...
სიყვარული ხომ შესაძლოა იყოს ჭიდილიც —
ორი არსება როცა კარგად იცნობიერებს,
რომ სურვილისა და პირველი შთაბეჭდილების
მიუხედავად, ეკუთვნოდნენ უნდა ერთმანეთს.
ეს, სამყარეულ პროცესთაგან, ის ერთი გახლავთ,
ემორჩილება რაიც სინთეზს და ერთმანეთთან
განმხოლოებულთ აკავშირებს და ის, რაც ვიწრო
და შეზღუდული არის, მისით მდიდრდება მხოლოდ...

უნდა გამოვტყდე, რომ ანჯეის „თანამგზავრობა“
მოულოდნელი იყო ჩემთვის და სახტად დავრჩი;
და, კაცმა რომ თქვას, საფუძველიც არა მქონია
ოცნებისაც კი... პირიქით კი იყო ბევრი რამ:
ჯერ ერთი, იგი ხომ ერთთავად იმას ცდილობდა,
რაღაც უაზრო საგანივით არად ჩავეგდე,
და მეც იგივეს მინერგავდა გაუთავებლად!
ხელი რომ მთხოვა, ამან თუკი არ წამახდინა,
თუკი არ მიმცა საგონებელს, მხოლოდ იმიტომ,
რომ ერთი გრძნობა სულ თან მდევდა: „მოვუხდები და
ტოლს არ დავუდებ უღელშიაც!“ ამგვარი ფიქრი,
მარტო ფიქრიც კი, ალბათ, უკვე სიყვარულია!..
ეს იყო და ეს, სხვას ვერაფერს ვერ დავამატებ...
რაც იმთავითვე უპასუხოდ განწირულია,
იმ გრძნობის ცეცხლად ქცევას მუდამ ვერიდებოდი;
ახლა, ღმერთმანი, ადვილია აღიარება,
თუ როგორ ძნელი იყო მისი დაძლევა მაშინ!..
განსაკუთრებით კარგად ერთი შემთხვევა მახსოვს,
თვეც ზუსტად ვიცი და იმავ თვის ერთი საღამოც...
ჩვენ მაშინ ხშირად დავდიოდით მთებში, მეგობრულ
ერთ წრედ შეკრულნი; ერთმანეთის ისე გვესმოდა,
უახლოესი სულები რომ ერთურთს უგებენ.
მაშინ, ანჯეი არც მალავდა ქრისტინასადმი
აშკარა გრძნობებს... ღმერთი, რჯული, მართალი რომ ვთქვა,
მე ამის გამო დათრგუნვილი სულაც არ ვიყავ!
მახსოვს, ბუნებით აღტაცებას ვერც კი ვფარავდი...
და არც სიმტკიცეს ვუჩივოდი! ვითარცა მუხას,
თუკი არ იყო ნება ჩემი, ვერვინ მომდრეკდა!..

მაგრამ... თუ ზოგჯერ თავი ჩემი მეც მიტირია,
არა ცალმხრივი სიყვარულის გამო, არამედ
დამძიმებული სულის ქუფრის განსაქარვებლად;
განსაკუთრებით იმ საღამოს ვიგრძენ ეს მძაფრად,
მთიდან დაშვებულთ როცა ღამე წამოგვეწია;
მარად გაჰყვება იდუმალი ორი ტბა ხსოვნას,
გზა რომ შეგვიკრა, თითქოს სიზმრის ორმა ცისტერნამ...
თვლემდა მეტალი, ზედ ეფინა ვერცხლი, ვითარცა
ღვთის რამ წყალობა აგვისტოს თვის უღრუბლო ზეცით...
ჰო, მართლა, მთვარეს ცალი ყურიც კი არ უჩანდა...
და უცებ, როცა ერთ ადგილას მიჯაჭვულები
შევჩერებოდით ამ ვერცხლისფერ სასწაულს, — ღმერთო,
რა დამავიწყებს, სანამ სული პირში მედგება, —
სადღაც ზემოდან მოგვეყურა ხმა ძახილისა.
ხმა იგი უფრო ტირილს გავდა, ან — კვნესას, ანდა —
თავშეკავებულ ქვითინსა თუ დრტვინვას უმეტეს;
სუნთქვა შეიკრა ყველამ, ძნელად თუ გაარჩევდი,
კაცი იყო თუ რომელიღაც ხმობდა ფრინველი,
გადაფრენის ჟამს საკუთარ გუნდს ჩამორჩენილი...
მალე იგივ ხმა განმეორდა, ჩვენმა ბიჭებმა
შეხმიანება მოისურვეს;
მიძინებულ ტყის
დუმილი გაჭრა
ღამეულმა მკვეთრმა სიგნალმა.
კაცი თუ სადმე იყო, იგი ხომ გაიგებდა
ჩვენი ბიჭების ძახილს? მაგრამ ხმა არვინ გაგვცა.

და მაშინ, როცა ერთდროულად ყველამ იყუჩა,
რომ მოესმინა აუხსნელი ხმა ირგვლივეთის,
გამიჩნდა აზრი მეყვსეული: ამქვეყნად აკი
სხვა სიგნალებიც არის-მეთქი... ამგვარი ფიქრი

დღესაც ხომ ამყვა! ასე, ხუთ თუ ექვს შორის იყო,
როცა ანჯეიმ ხელი მთხოვა, — ჰო, სწორედ მაშინ,
იმავწამს ისეთ სიგნალებზე დავიწყე ფიქრი,
არ უწერიათ ერთმანეთთან შეხვედრა რომელთ.

ჩვენზეც ვიფიქრე მაშინ — ჩემზე და ანჯეიზე;
ცხოვრება მძიმე ტვირთი როა, მაშინ ვიგრძენი;
იმ ღამით რაღაც ენითუთქმელ სიმძიმილს ვგრძნობდი,
რასაც იმავ დროს რაღაც ჰქონდა ამაღლებულის!..
იდუმალებით სავსე ღამე შემოგვდგომოდა!

ტერესა

გარშემო რასაც ვუყურებდი ან რასაც ვგრძნობდი
მე უჩვეულოდ საჭიროც და ჰარმონიულიც
მეგონა, მაგრამ სათვალავში ადამიანი
არ იყო თითქოს... მწარე ფიქრი ტვინს მიბურღავდა —
ქვეყანამ რაღა ადამიანს უჩვენა ზურგი!..
უარყოფილი, მიკარგული რად არის იგი! —
ეს თალხი აზრი იქნებ ყველას არც გულისხმობდა,
მაგრამ მე იმათ სათვალავში აკი ვითვლები!
და აი, ახლა, დღეს, ანჯეი რომ მთავაზობდა —
„მისი ცხოვრების მარადიულ „თანამგზავრობას“ —
შემცბარმა ვიდრე „ჰო“ ვუთხარი, წამით გავყუჩდი
და წუთის შემდეგ ვკითხე, „შენ თუ გჯერა რაიმე
რაღაც უცნობი სიგნალების მნიშვნელობისა?“

ანჯეი

ტერესამ მკითხა: იდუმალი სიგნალებისა
რამეთუ გწამსო... ამ შეკითხვით გაოგნებულმა,
შემცბარმა წამით გავუსწორე თვალი, აწ უკვე
საცოლეს ჩემსას — სულ რაღაცა თხუთმეტი წუთის, —
და ვიდრე პასუხს მიიღებდა ჩემგან, თვითონვე
დაიწყო — მაშინ, მთებში ერთად ხეტიალისას,
მიმწუხრის ჟამზე, რა განცდებით ყოფილა სავსე
და დატყვევებულს საკუთარი წარმოდგენებით,
გულდამძიმებულს დაფარული ტანჯვით და გვემით
თურმე რა ახლო ჩაუვლია იმ დამით ჩემთან!..

იმას, რაც ახლა წყალობაც კი მგონია, მაშინ
არ ჩამიგდია აინუნშიც თურმე გულცივად...

ტერესა, ჩემო! ო, ტერესა! ჩემო ტერესა! —
მოწიფულობის ჟამს წერტილო გასაოცარო,
არა პრიზმაო, მოჩვენებით სხივთ ამრეკვლელო,
არამედ უკვე საკუთარი შარავანდედით
მანათობელო, ო, ტერესა, ტერესა, ჩემო!
წინ გზას რომ მივყვე, კარგად ვიცი, ჩირად არ მიღირს,
რადგან იმ გზაზე საპოვნელიც აღარ მეგულვის...
მე ახლა ერთის გაფიქრება თუ მზარავს — მისი
დაკარგვა თურმე რა იოლად შემეძლო მაშინ.
მაშინ თუ მხარში ვინმე მდგმია, მხოლოდ ტერესა,
მე კი მსგავსი რამ აზრადაც კი არ გამივლია;
და უარვყოფდი სწორედ იმას, რაიც ამჟამად
ჯილდო მგონია სასწაული და იდუმალი...
ამ გზას რომ გავცდი, მე ამჟამად ვხედავ თვალნათლივ

იმ გზებს, რაც გვექცა განშორების მიზეზად თითქოს,
ჭეშმარიტად კი — ერთმანეთთან დაახლოების...
ფასი არა სძევს იმ მცირე დროს, რაიც სიგნალთა
და ნიშანთ რთული სქემის ბეჯით შესწავლისათვის
ჩვენ ორს გვებოძა;
ასე იყო ნამდვილად; დღეს მე
ჩემი სამყარო შენიც როა, მშვენივრად ვხედავ;
მე ხომ ოცნებად მქონდა, ხიდი გამედო ჩვენში!

2

ჩვენს ძველ ქალაქში, ოქტომბერში, საღამოობით
უცებ ბინდდება, — საპროექტო სახელოსნოებს,
საცხოვრებელი გეგმარდება სადაც სახლები,
ერთიმეორის მიყოლებით სტოვებენ ხოლმე
თანამშრომლები და თავთავის გზებით მიდიან...
მაგრამ მრავალი იმათგანი — ქალი თუ კაცი —
შინ მიმავალი „ცნობისწადილს“ ვერ იოკებს და
ვეებერთელა ვიტრინების წინ ჩერდებიან...
ერთხელ ტერესაც შევამჩნიე ფეხსაცმელების
დიდი სალონის ვიტრინის წინ გაჩერებული;
მე ფეხაკრეფით მივედი და გვერდით დავუდექ
და თითქოს რაღაც უჩვეულოს მოწმედ ვიქეცი —
მინის ორთავე მხარეს როგორ აღმოვჩნდით ორნი —
მე და ტერესა — გამჭვირვალე მინის ორ მხარეს,
ღვთიური ნათლით თითქოს ორთავ გარემოცულნი!
ასე ვიხილეთ თავი ჩვენი... დიდი ვიტრინის
მაღალი სარკე უჩვეულო ფონს ქმნიდა თითქოს,

რაც ყველაფერს და ყველას ერთად აირეკლავდა —
გამვლელ-გამომვლელს, ფეხსაცმელს თუ... განსაკუთრებით
მათ, ვინც ვიტრინის წინ ჩერდება და „ჩხრეკს“ საკუთარ
ანფასს თუ პროფილს, ან, უბრალოდ, ფეხსაცმლის მსურველთ.

და აი, ახლა ორივენი გიგანტი სარკის
აღმოვჩნდით ორთავ მხარეს — ორნი! — აქეთ და იქით,
აქეთ — სულდგმულნი, ხოლო იქით — ჩვენი ასლები,
მე თვითონ კარგად აღარც მახსოვს, იქნებ იმიტომ,
რომ, ვთქვათ, სურათი უფრო სრულად წარმომეჩინა,
ან — უფრო სწორად, იქნებ გულის, გნებავთ, კარნახით —
ტერესა, რაზე ფიქრობ-მეთქი ჩურჩულით ვკითხე;
აკი ხმამაღლა ლაპარაკი შეყვარებულებს
არ უყვართ!

ტერესა

იმ წუთს არც სიგნალზე, არც ანჯეიზე
არა ვფიქრობდი... სალონის წინ ვიდექი ჩემთვის,
მივჩერებოდი ფეხსაცმელებს, ვირჩევდი ისეთს,
ქუსლი ჰქონოდა საშუალოზე ოდნავ მაღალი...
ფეხსაცმელებით სავსე იყო ვიტრინაც, მაგრამ
მე არც სპორტიულს, მით უმეტეს, არც ყოველდღიურს
კი არ ვეძებდი — მსურდა მხოლოდ „გამოსასვლელი“,
უთუოდ მაღალქუსლიანი; ეს იყო და ეს...

„ანჯეი ბევრად მაღალია ჩემზე, — ურიგო
რატომ იქნება, მეც მაღალი გამოვჩნდე?“ როცა

ამას ვფიქრობდი, ანჯეიზე ვფიქრობდი უფრო;
ანჯეიზეც და ჩემზეც... ახლა ჩემი ფიქრების
წრედში უთუოდ ორთავენი ერთად ვხვდებოდით;
იგივე განცდა, ნაღდად ვიცი, მასაც რომ ჰქონდა,
მაგრამ მან ჩემი არ იცოდა, თორემ, ღმერთმანი,
ეს რომ შეეტყო, გულიანად გაიხარებდა.

მერე საუბარს მივყევით და ათასნაირი
წვრილმანი ვჩხრიკეთ, რაც ჩვენს ქორწილს შეეხებოდა;
რა ფერის ჰალსტუხს შევურჩევდი, ანდა კოსტიუმი
აუცილებლად შავი ფერის რომ უნდა სცმოდა;
სიამოვნებით, ყურადღებით მისმენდა იგი,
არა იმიტომ, ჩემი გულის მოგება სურდა, —
ბოლო ხანებში აკი იმას ცდილობდა მხოლოდ,
მომწონებოდა, რომ ყოველგან, ყოველ ნაბიჯზე
მისით ყოველთვის კმაყოფილი ვყოფილიყავი.

მერე, როგორღაც... ოქრომჭედლის ფარდულთან გავჩნდით,
ვიდექით ორნი... დახლზე ეწყო უძვირფასესი
ნაირ-ნაირი სამკაული ეწყო, ზოგი გამორჩეული,
დიდი პატივით ხავერდზეც კი ესვენა ყუთში;
და თვალისმომჭრელ ამგვარ მრავალფეროვნებაში,
რაღა თქმა უნდა, საქორწინო ბეჭდებიც იყო,
გაყუჩებულებს თვალი წამით მოგვტაცა რამაც!

მერე ანჯეიმ მხარზე ხელი გადამხვია და —
„შემო, ბეჭდები შევარჩიოთ, ტერესა," — მითხრა.

ანჯეი

სახელოსნოში არ შევსულვართ მაშინვე, ორთავ
რაღაცა ერთმა ფიქრმა შეგვკრა მოულოდნელად...
იგი სიცხადით საოცარით ვიგრძენით უმალ,
მეც, ტერესასაც ერთდროულად გაგვიჩნდა იგი!

... დახლზე რომ ეწყო, საქორწინო ოქროს ბეჭდებმა
ენით უთქმელი რაღაც ძალით მოგვნუსხა; ღმერთო,
ამ ბეჭდებს ძვირფას ლითონად თუ მოვიხსენიებთ,
მხოლოდ იქამდე, ვიდრე... თითზე ერთს მე ტერესას,
ხოლო მეორეს — ტერესა მე გამიკეთებდა!..
ამიერიდან ბედი ჩვენი მათ უნდა საზღვრონ!..
ერთთავად უნდა გვახსენებდნენ წარსულს, ჩვენ რისი
დამახსოვრებაც გვმართებს, ძველი ვით გაკვეთილის,
მყოფადისაკენ სივრცეს იგი უნდა გვიხსნიდეს! —
ყოველთვის ასე უნდა იყოს; ვითარცა მტკიცე
ჯაჭვს ორი ბოლო მტკიცე რგოლი აერთებს ხოლმე...
რაც, ჩვეულებრივ, მრავალთ რჩებათ შეუმჩნეველი!

ასე რომ, უცებ არ შეეედით სახელოსნოში.
ხელი სიმბოლომ შეგვიშალა!..
ჩვენ ეს ვიგრძენით
ერთდროულად და, როცა ბეჭდებს ვირჩევდით შორით,
ორთავე რაღაც უნებურმა ღელვამ მოგვიცვა;
იქნებ ამიტომ იყო კიდეც, რომ სახელოსნოს
ზღურბლთან ვიდექით და შიგ შესვლას არა ვჩქარობდით.
ერთს ვგრძნობდით მხოლოდ, როგორ მაგრა იკრავდა მკერდში
ტერესა ჩემ ხელს... აი, ისიც — ეს ჩვენი „აწმყო“ —

წარსულისა და მომავალის გზაჯვარედინზე!..
და აი, ვდგავართ ორნი — ასე, უცნაურ დროის
სწრაფი დინებით გაზრდილები... თითქოს ფაქტების
თვალჩაუღწევი წიაღიდან ამოზრდილები,
არადა... ასე რთულად საქმე სულაც არ არის! —
ჩვენ ერთადა ვართ — იდუმალით შერწყმული ერთურთს,
ამ საქორწინო ორი ბეჭდის და... ჩვენი ნებით!

ჩემს უკან ვიღაც მაღალი ხმით ალაპარაკდა:

უცნობი

ოქრომჭედელი. სახელოსნო. ეს უცნაური
ხელობა. ნივთი სასწაული მისი ხელობის,
ადამიანის ბედზე ფიქრის ამშლელი ნივთი.
აი, თუ გნებავთ, ეს საათი — მოოქროვილი —
მაჩვენებელი წარმავალი დროის სიმუხთლის
და ულმობელი წუთისოფლის გაუტანლობის...

ტერესა

ხმა მიწყდა, მაგრამ... რომ არა ვთქვა, არ შემიძლია —
უცნობმა ზუსტად გამოიცნო ჩემი ფიქრები!..
ჩვენ ერთ ადგილას კვლავ უჩუმრად ვიდექით, თუმცა
არა ცხრებოდა წარმოსახვა ჩვენი... მე უკვე
ცხადლივ ვხედავდი ამ სარკეში, როგორ ვიყავით
ანჯეი და მე გვირგვინებქვეშ მუხლმოყრილები,
მე — საქორწინო თეთრი კაბით, ის — შავი ფრაკით...

როცა ტაძარში შევდიოდით, მე და ანჯეი
ერთი სიმაღლის წყვილი უფრო გეგონებოდით.
(მაღალქუსლიან იმ ფეხსაცმელს ვიყიდი ნაღდად,
დღეს ვიტრინაში აწოწილი რომ ეწყო წყვილად!..)

და ვიდრე ორნი, — კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი,
ცოტა არ იყოს, უცნაურიც კი იყო ჩვენთვის, —
ვიდექით ასე ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ,
ორი-სამი წლის წინანდელი მიწერ-მოწერილ
წერილებიდან ვიხსენებდით ნაწყვეტებს ისე,
თანმიმდევრობა ოდნავადაც კი არ შემშლია...

3.

(ნაწყვეტი ტერესას წერილიდან ანჯეისადმი)

„... აგვისტოს თვეში, მთებში, ჩვენი მაშინდელი ხეტიალი და ის ღამე მინდა გავიხსენო, როცა რაღაც უცნაური სიგნალები მოგვესმა. მაშინ, თუ გახსოვს, დაბნეულობამ მოგვიცვა და აზრებიც გაგვეყო. ერთნი ვამბობდით, უღრან ტყეში გზააბნეულები გვიხმობენო საშველად და მათ საძებნელად წასვლას ვაპირებდით, მეორენი — პირიქით — სულ სხვას ვარაუდობდნენ, გუნდს ჩამორჩენილი რომელიღაც ფრინველის ძახილიაო ეს. შენც ამ უკანასკნელთა აზრს იზიარებდი. დასამახსოვრებელი ღამე იყო ის ღამე, და ჩემთვის მით უფრო დასამახსოვრებელი, რომ მაშინ — ასე მგონია — პირველად გიხილე ისეთი, როგორიც ხარ; და, სწორედ მაშინ შევამჩნიე თვალნათლივ შენი ფარული გაუწონასწორებლობა... ადამიანის სურვილისა — იყოს ბედნიერი — და მის შესაძლებლობებს შორის შეუსატყვისობა გარდაუვალია. შენ კი, რადაც არ უნდა დაგიჯდეს,

ცდილობ, შენი ბედნიერების გზაც ისევე გამოითვალო, როგორც თქვენ სახელოსნოში ხარ ჩვეული რაღაც-რაღაცების გამოთვლას. შენ არც გაბედულება გყოფნის და არც ნდობა გაქვს — ვისი? რისი? — ცხოვრების, საკუთარი ბედისწერისა თუ ხალხისა და ღვთის მიმართ...“

(ნაწყვეტი ანჯელის წერილიდან ტერესასადმი)

„... ასე გამოგდის, გაბედულიც შენ ხარ და ნდობის სრული განსაცხიერებაც — შენ; ერთმა ღმერთმა იცის, რამდენჯერ მდომებია, შენს ღაწვებზე, ატირების შემდეგ მაინც შემემჩნია ცრემლის კვალი, მაგრამ თვალებზე ნამტირალევის ნატამალიც არ შეგმჩნევია... იქნებ გეჩვენება კიდეც, ბედნიერებასთან შესახვედრად თითქოს გაბედულად მიილტვოდე, მაგრამ ეს შენი ლტოლვა ეფემერულია, რაც ერთგვარი ფორმაა შიშისა, ანდა, სულ ცოტა — სიფრთხილისა...“

4.

ტერესა

სულ უფრო მძაფრი მიჩნდებოდა წარმოსახვანი —
მოგონებებსა და წარსულზე ამაღლებული...
მიჰქროდა იგი მომავლისკენ; მყოფადის ხატი
ჩვენს შესახვედრად სასწაულად მოისწრაფოდა.
ჩემ თავს მე ახლა ცხადლივ ვხედავ ანჯელის გვერდით,
სიმაღლით უკვე თითქმის მისი სიმაღლისა ვარ;
ელეგანტური ორი სული... ჩვენ ახლა უფრო
მოწიფებულები გვეთქმის, რადგან ბეჯითად დიდხანს

ვზარდეთ ერთურთი ერთმანეთთან მიწერ-მოწერით —
ბოლო სამი წლის არცთუ ცოტა წერილი მახსოვს.

აი, ჩვენ ახლა სახელოსნოს ზღურბლთან ვდგავართ და
შეთანხმებულად ბედისწერას საკუთარს ვირჩევთ.
ჩვენი მომავლის სარკედ იქცა ვიტრინა, სადაც
კონტური მისი ხორცს ისხამდა ნება და ნება...

ანჯეი

უცებ დახლიდან საქორწინო გაქრა ბეჭდები!
ოქრომჭედელის მახვილ მზერას კარგახანს ვგრძნობდით.
სინჯს რომ უღებდა კეთილშობილ მეტალს, მოხუცი
გვიზიარებდა ისე ღრმა და იდუმალ აზრებს,
რაც ჩვენს გონებას სამუდამოდ დაემჩნა მერმე.

— ეს საქორწინო ოქროს ბეჭდები, —
ბრძანებდა იგი, — მხოლოდ განსაზღვრულ
წონის მეტალი ნუ გეგონებათ;
ადამიანის კუთრი წონაა;
კუთრი წონაა ცალ-ცალკე ორის
და ორის ერთად... ადამიანის
თუ ჭეშმარიტი წონა რამეა,
ეს მხოლოდ მისი კუთრი წონაა!..
უმეტეს მძიმე სხვა რამ არის კი? —
თანაც ისეთი, სულაც რომ ვერ გრძნობ!..
იგი მუდმივი ტვირთის წონაა,
ხანმოკლე ფრენას რომ ამუხრუჭებს!
ფრენა სპირალის, ელიფსის ფორმის —

და კიდევ — გულის ფორმაა იგი...
ო, კუთრო წონავ ადამიანის! —
ეს ნაპრალები, ეს უღრანები,
ეს სიღრმეები თვალჩაუწვდენი —
და სიახლოვე, ისეთი, როცა
გულს და გონებას ვერ გაჰყრი ერთურთს
და ყოველივე ამას შუაგულ
თავისუფლება უდგას, რაც ხშირად
თავისუფლების უგუნურება
უფროა, ვიდრე თავისუფლება...
და იქვე, ახლოს სიყვარულია,
თავისუფლების წიაღიდან რომ
ისე ჩქეფს, როგორც წყარო მიწიდან...
ადამიანი! ადამიანზე
ვერც გამჭვირვალეს, ვერც მით უმუტეს —
მონუმენტალურს ვერ იტყვი, იგი
არც მარტივია, უფრო ზუსტად თუ
გნებავთ, ყარიბი, მწირია იგი;
ეს ერთზე ითქმის, — მაგრამ ორი, ან
ოთხი, ან ასი, ან მილიონი
ადამიანი? ეს ყველა ერთად
გადაამრავლე პირადად შენზე —
მედიდურება სისუსტეზე — და
წარმავლის ჯამი საკაცობრიო
შინაარსისა იქნება, — არსი
ადამიანის მთელი ცხოვრების... —
ასე მსჯელობდა ოქრომჭედელი
და თან ჩვენს ბეჭდებს დამღას ადებდა, —
ამ უცნაურმა მოხუცმა მერე
ბეჭდები დიდხანს წმინდა ხავერდით

და დაუბრუნა იმავე ყუთებს
ვიტრინაში რომ ეწყო სათუთად, —
ამ დროს თვალს წამით არ გვაშორებდა,
თითქოსდა სურდა, გულის სიღრმეებს
ჩვენსას თვალებით დაუფლებოდა —
ნეტავი რაც თქვა, სიმართლე იყო?!
ან ნააზრევი ოქრომჭედლისა
ჩვენსას თუ ჰგავდა? არა მგონია! —
მოხუცისეულ ნაფიქრთან ჩვენი
აზრები ახლოს ვერც მივიდოდა. —
სიყვარული ხომ ჩვენთვის უმეტეს
ენთუზიაზმი იყო, ვიდრე, ვთქვათ,
საგონებელი ანდა ყოყმანი?..

ტ ე რ ე ს ა

მაშ ასე, ვდგავართ ვიტრინაში გამოსახულნი,
როგორც სარკეში, წინდაწინ რომ უჩვენებს მყობადს...
აი, ანჯეი ბეჭედს იღებს ერთი ყუთიდან,
მე — მეორიდან; მერე ხელებს ვუწვდით ერთმანეთს —
უფალო ღმერთო, რა უბრალოდ ხდება ყოველი.
ნეტავი ისიც მაცოდინა, ჩვენი ქორწილის
სტუმრები რაზე იფიქრებენ? ანდა — საერთოდ
რაზე ფიქრობენ ხოლმე, როცა ჩუმად არიან?..
ან კიდევ — სათქმელს რომ რჩებიან, მერე რა ფიქრის
ქარავანს უფრო მიჰყვებიან ნება და ნება?..

5.

ᲭᲝᲠᲝ

რაც ხდება, იგი დიდებულია!..
წარმოიქმნება უამრავი ასოციაცია!..
გვატკბობდეს იგი, რასაც ვუყურებთ.
ადამიანის არსება თავად
შუქჩრდილების თამაშს გულისხმობს,
შუქი გადადის ჩრდილში, ანდა —
პირიქით ხდება!..
და აი, ერთი ახალი წყვილიც:
ვაჟი — ანჯეი, ქალი — ტერესა,
ჯერ სული ორი და არა — ერთი,
მაგრამ სულ მალე ერთსული ორი,
ერთსული ორი — შერწყმული ახლად.

სევდიანი ჩანს ტერესა, თუმცა
იქნებ კიდევაც ზედმეტად ღელავს
და მხოლოდ ამის გამოა ასე...
ანათებს ღვინო! ეს გაუმარჯოს
ადამიანში ღვინის ნათებას!..

ადამიანი სიყვარულია: ვაჟი — ანჯეი, ქალი — ტერესა
მანათობელი ღვინოა ორი. ასწიეთ ჭიქა, ვთქვათ სადღეგრძელო.

ჰოი, რამდენი სიტყვაა და რამდენი გული.
ჰოი, რამდენი სიტყვაა და რამდენი გული.
ჰოი, რამდენი სიტყვაა და რამდენი გული.

ჩვენ კიბე-კიბე მოგყვებით უკან,
მერე ხეივანს გავყვებით ერთად,
ორმოცდაათს ან რამოდენიმე
ასეულ ნაბიჯს სიხარულით და
ღიმილით ვივლით, ეს შორეული
გზაა და ერთად უნდა განვლიოთ...

შემდეგ გაჩნდება ტრანსპორტი, მერე
ჩასხდომა ცოტა ხნით შეგვაფერხებს;
როცა ჩასხდებით, ეცადეთ მხოლოდ
თქვენ ორნი დარჩეთ მორთულ სალონში...

მოდით, ვარსკვლავებს დავუბრუნდეთ ისევ და ისევ, —
სითბოს და გრძნობას, გრძნობას და სითბოს;
ადამიანი გრძნობის წყურვილს ვერ იკლავს, იგი
მეორისადმი სიახლოვეს მიელტვის მარად...

ტერესა და ანჯეი...

ხეები, მაღლა აწვართული ხეები, ცისკენ
ილტვიან, მაღლა მთვარისაკენ ყელყელაობენ —
სამი ათასი კილომეტრით შორი მთვარისკენ...
ადამიანის თვალისაგან შორი მთვარისკენ.

ახლა ტერესა და ანჯეი
ორნი არიან...

მთვარე პატარა დაირაა, სულის სიღრმეში
და თვალთა ფსკერზე ათრთოლებულ-აჟღერებული...

ო, სიყვარულმა საფეთქლებშიც კი იცის ფეთქვა...
და ადამიანს აზრადა და ნებად ამკვიდრებს...
ტერესას ნებად! — იყოს ანჯეი...
ანჯეის ნებად! — იყოს ტერესა...

ადამიანი ადამიანში უსასრულოდ ხომ ვერ იარსებებს,
მათ დაშორებას სწორედ ამიტომ გაგებით უნდა შევხვდეთ;
მუდმივი ტვირთის ზიდვას, ჩამოუღებლად... ადამიანი ვერ შეიძლებს.

მაშ, რა უნდა ქნა, ანჯეიში სამუდამოდ დასარჩენად, ტერესაში! — ან შენ, ანჯეი, ტერესაში რომ დარჩე მარად?..

6.

ანჯეი. თუმცა ჯერ ისევ ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ ვიდექით, მაინც აშკარა იყო, მისი ვიტრინა უკვე აღარ იქცევდა გამვლელების ყურადღებას და გამონაკლისის გარეშე არც თითოეულ მათგანს რაღაც უჩვეულოდ საინტერესოს არ ჰპირდებოდა. სამაგიეროდ, ეს ვიტრინა ჩვენ გვექცა სარკედ და ჩვენ, ორნი, წარმოგვაჩინა, — ტერეზა და მე; უფრო მეტიც — იგი თვალის იმგვარ გუგად გვექცა ორთავეს, საკუთარი მხედველობის არეში მოხვედრილთ რომ ერთიანად ნთქავს. ეს სარკე ჩვენ კი არ გვირეკლავდა, კი არ წარმოგვაჩენდა, თითქოს თავისი წიაღისკენ გვერეკებოდა... ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს ვიღაც მითვალთვალებდა, ვიღაც მსწავლობდა და თან ვიტრინის სილრმეებში მოხერხებულად იმალებოდა.

ტერესა

სარკეში ჩვენი ქორწინების დღე ჩანდა... მე და ანჯეიც ვჩანდით — ორთავე ელეგანტურნი; მოჩანდა ხალხიც — წვეულები ჯვარისწერაზე. ვიტრინაში ჩემი ფიგურა რამოდენიმეჯერ აღიბეჭდა: პირველად — მთელი ტანით, მეორედ — ანჯეის გვერდით, როცა მუხლმოყრილები ვართ, დაბოლოს — ერთმანეთთან ბეჭდების გაცვლისას... მომეჩვენა, თითქოს სარკის სიღრმეებში ჩვენი გამოსახულებები სამუდამოდ შთაინთქა და იქიდან მათი არც გამოხმობაა შესაძლებელი და არც გაქრობა... ხოლო სულ რაღაც ერთი წუთის შემდეგ, ასეთი აზრიც კი გამიჩნდა, — სარკის სიღრმეებში ჩვენ უხსოვარ დროშიც ვიყავით, ყოველ შემთხვევაში, იმაზე ადრე მაინც; ვიდრე აქ, ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ გავჩნდებოდით...

ანჯეი

ოქრომჭედელი, როგორც უკვე ადრეც გითხთრით, რაღაც უცნაურად მოგვჩერებოდა. გამოხედვა ერთდროულად ლბილიც ჰქონდა და გამჭოლიც. ვგრძნობდი, რომ მოხუცი არც ჩვენ გვაშორებდა თვალს და, იმავდროულად, ბეჭდებსაც არჩევდა და წონიდა... მერე ბეჭდები თითებზე მოგვარგო... ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს იგი ჩვენს გულებს ეძებდა და მზერას ჩვენი წარსულისკენ ასე მიაქცევდა. ნეტავი მისთვის ჩვენი მომავლის კარი ღიაა? გამოხედვაში სითბო და სიმტკიცე შერწყმოდა. გაუცნობიერებული ჩვენთვის ახლა ჩვენი მომავალი თუღა რჩებოდა, საითაც ახლა დამშვიდებით ვიყურებოდით. მღელვარება სიყვარულმა დაჯაბნა. მომავალი სიყვარულზეა დამოკიდებული...

ტერესა

მომავალი სიყვარულზეა დამოკიდებული...

ანჯეი

რაღაც წამიერად, ეს უკვე მერამდენედ, ვიგრძენი — მოხუცი ოქრომჭედელი როგორღაც უჩვეულოდ რომ მიყურებდა... და სწორედ მაშინ გამიჩნდა აზრი: თვალით მოხუცი მხოლოდ ჩვენს გულებს კი არ აღწევდა, მათში რაღაცის შეტანაც სურდა. ჩვენ მხოლოდ მისი მხედველობის არეში კი არა, მისი ცხოვრების წიაღშიც მოვხვდით... ჩვენი არსება ერთიანად ხილულად ჰქცეოდა.

გამოხედვისას სიგნალებით რაღაცას ისეთს მიგვანიშნებდა, ბოლომდე რისი გამოცნობაც ვერ შევიძელით, ისევე, როგორც ოდესღაც ვერ ამოვხსენით მთებში მოსმენილი ძახილის ჭეშმარიტი არსი, — ოღონდ ეს კია, ამ სიგნალებმა შეაღწიეს ჩვენი გულის სიღრმეებში და იქ მტკიცედ დაიდეს ბინა და ჩვენც, მგონი, მივყვებით იმ კვალს, რომელიც მათ მიგვანიშნეს და რაც ჩვენი ცხოვრების ლიბოდ უნდა გვქცეოდა შემდგომ.

ტერესა

ისე დიდხანს ვიდექით ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ, რომ არც დროის შეგრძნება გვქონდა უკვე და არც სიცივისა, რაც, შეუძლებელია, ოქტომბრის იმჟამინდელ სუსხიან საღამოს არ გვეგრძნო, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს, ჟამი დადგა გონს მოგებისა — ვიღაც გამვლელმა ჩვენს ზურგს უკან ხმამაღლა ბრძანა:

უცნობი: უკვე ძალიან გვიანია. სახელოსნოები ყველამ დაკეტა. მოხუცი ოქრომჭედლის სახელოსნოში შუქი აქამდე რატომ ანთია? დაკეტოს სახელოსნო, უკვე დროა, სახლში წავიდეს.

მეორე მოქმედება
(ანა, სტეფანი)

1.
ანა

ბოლო დღეების მოვლენებზე ფიქრისას ვიგრძენ,
რა ფორიაქი დამეუფლა მღელვარებისაგან... —
უკან მოხედვა სიზმრის განცდის გრძნობას ბადებდა.
საშმელ-სასმელის თვისებაა სიმწარეც, მაგრამ
განსაცდელისაც აკი არის — სულისმიერი —
გონს მოგებას თუ, გნებავთ, გულისწყრომას რომ მოსდევს;
თუმცა, ეს გრძნობა თანამდევად არ დაგვდევს ყველას —
საქმეში, ფიქრში, საუბარში — ყველგან, ყოველთვის?!.
სიმწარე ხშირად ღიმილსაც კი ბალღამით სწამლავს...
სასომიხდილი ვიყავ მაშინ თუ გონფხიზელი? —
იქნებ ეს სულაც მოვლენათა ჩვეულებრივი
განვითარების გამო იყო, რაც ორთა ხვედრის
იყო წინასწარ განსაზღვრულის მიმანიშნებელი?
(სტეფანი ამის ახსნას სწორედ ასე ცდილობდა!..)
მე ხომ სათქმელი მივახალე უმალ — როგორც კი
წყენამ შამფურზე ამაგო და ცეცხლზე მაბრუნა!..
მისმენდა იგი ყურადღებით, მაგრამ ვიგრძენი —
ჩემი სიტყვები გულთან ახლოც არ გაიკარა...
მე ამის გამო საწუხარი მემწარა უფრო
და უჩვეულო ამყვა ფიქრი — „აღარ ვუყვარვარ,
თორემ ჩემ ტკივილს ასე ცივად რად მოისმენდა?..“
ამგვარ განცდასთან შეგუება მე არ შემეძლო
და, რა თქმა უნდა, არც იმისი შემწევდა ძალი,
ჩვენს შორის ახლად გაჩენილი ნაპრალი უფრო

არ გაზრდილიყო;
(ამ ნაპრალის ორი კედელი,
თავიდან თითქოს უმოძრაო, შეიძლებოდა
ყოველ წამს უცებ დაძრულიყო, პირი დაეღო...
მართალი რომ ვთქვა, ნაპრალი თუ პირს შეიკრავდა
მსგავსი რამ გრძნობა წამითაც კი არ გამჩენია).
ჩემი გვამიდან გაქრა თითქოს სტეფანი... ნუთუ
მის არსებაში სამყოფელი მეც მომეშალა?
თუ მოჩვენება ნაღდი იყო, ამიერიდან
მხოლოდღა ჩემში არსებობა ძალზე მეძნელა,
განცდა — თავიდან ჩემში ჩემივ მარტოობისა!
ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დიდი ხანია
გადავეჩვიე დაბრუნებას საკუთარ თავთან... —
ადრე არსებას ჩემსას ფლობდა სტეფანი, მაგრამ
ახლა, უმისოდ, ცარიელი მეჩვენებოდა.
ვითომ არ არის შემზარავი, შენი არსება
გასწირო მხოლოდ ერთადერთი მდგმურის სამყოფლად?! —
თანაც ისეთის, ვისაც შენი დაბეჩავებაც
შეუძლია და სამყოფელის შენის წართმევაც!..

ცხოვრება თითქოს გარეგნულად არ შეცვლილიყო;
ჩვეულებრივად იქცეოდა სტეფანიც, მაგრამ
ვერრას შველოდა ჩემი სულის ღია ჭრილობას;
ვერც გრძნობდა, თორემ მკურნალობა რა სათქმელია!
იქნებ არც სურდა განკურნება? ღია ჭრილობა
პირს თავისთავად შეიკრავდა? მაგრამ კიდეც რომ
შეეკრა, მაინც, სულ ერთია, ვერ იქცეოდა
ერთურთთან ჩვენი განშორების შემაკავებლად...
ამასთანავე, სტეფანს აზრად არც გაუვლია —
საჭიროება ამ სატკივრის მოშუშებისა...

მან ღრმა ჭრილობას შემატოვა; ასე ეგონა,
რომ ყოველივეს თავისთავად ეშველებოდა;
ესეც არ იყოს, მტკიცედ სწამდა მამრის ნებისა,
მისი უფლების! მე პირიქით — უღლის გამწევის
ტოლის დადება დღენიადაგ მინდოდა მისგან...
ამას რა ერქვა? ეგოიზმი? — არც მიფიქრია...
ღმერთი და რჯული, მე საერთოდ არც რა მიცდია,
ჩემში სტეფანის გამართლების კვალი მეძებნა... —
ვითომ რა, განა სიყვარული კომპრომისია?
იგი არ არის ერთის შეუწყვეტელი ბრძოლა
მეორის მიმართ — სიყვარულის მოსაპოვებლად?! —
ან სიყვარული ვითომ ასე არ იბადება?!

თითქოს ვიბრძოდი კიდეც მისი სიყვარულისთვის,
თუმც მზადაც ვიყავ, ნებისმიერ წამს დამეხია
უკან, თუკი ის იქნებოდა კვლავაც გულგრილი,
ამ მძაფრი ბრძოლის არსს თუ გულთან არ მიიტანდა...
თანაც, არ ვიცი, შევუნდობდი? თუ გაჩენილი
ნაპრალი ჩემს და სტეფანს შორის გაღრმავდებოდა?
სამანი იგი ეგოიზმს და არაეგოიზმს
შორის ჩამდგარი, იოლი რამ სულაც არ იყო.

მე დედა ვიყავ, ღამით, დროით, გვერდით ოთახში
ჩვენი ბავშვები იძინებდნენ. დიდი — მარეკი,
მონიკა — ჩემი შუათანა, ბოლო — იანი.
ბავშვთა ოთახი ანგელოზთა საუფლოს ჰგავდა.
ჯერ იმათ სულებს — გაჩენილი ჩვენ შორის ბზარი —
არ შეხებოდა... ულმობელი ჩვენს შორის ბზარი,
რასაც მე ასე მძაფრად ვგრძნობდი და განვიცდიდი.

2

შემთხვევითი თანამოსაუბრე

მე აქ ეს ქალი, თუ არ ვცდები, მეორედ ვნახე.
იგი მოხუცი ოქრომჭედლის ფარდულთან იდგა, —
უკვე დახურულ დარაბებთან. კარს კლიტე ედო.
ოქრომჭედელი საქმეს რჩება საღამოს შვიდზე,
კეტავს ფარდულს და სახლში მიდის. იგი საქმეში
მთელი დღე ისე იძირება, აზრად არც მოსდის,
კაცთა სულს მისი ნახელავი რა ღრმა კვალს აჩენს...
მასთან ოდესღაც ამ თემაზეც მისაუბრია;
მაშინ ფარდული ღია ჰქონდა, ოქრომჭედელი
ზღურბლზე იდგა და ქვაფენილზე გამვლელ-გამომვლელთ
თვალს სათვალიდან აყოლებდა ისე, რომ ქუჩას
ემატებოდა ოქრო, ხოლო მზეს — მცხუნვარება.
ეს ბრწყინვა თვალებს გიბრმავებდა... შავი სათვალე
ეკეთა ყველას — მდედრსაც, მამრსაც — რამენაირად
მზის დამაბრმავებ ნათებას რომ მორიდებოდნენ...
თვალის ფერს ფარავს მზის სათვალის შავი მინები! —
როგორც ღრმა ჭაში, ინთქმებიან ბნელში თვალები...
სამაგიეროდ, მზის სათვალით ვინც არის, იგი
ყველაფერს ხედავს (უჩვეულო ფერში თუმცაღა)
და არც მზის გულზე იძულებით თვალებს არ ხუჭავს.

ახლა მოხუცი ოქრომჭედლის ფარდული უკვე
დაკეტილია. გამვლელები საღამოს ბინდში
სიბნელით სახედადღაბნილებს უფრო მოჰგავან.

აქ არაერთხელ გამივლია. სამსახურიდან
როცა ვბრუნდები, ჩვეულებრივ, ამ გზით ვბრუნდები,
(სამსახურისკენ კი პირიქით — „მოკლე გზას“ ვირჩევ!..)
გამოგიტყდებით, ეს ფარდული თვალში აქამდე
არც მომხვედრია (ყურადღებას თუ არ ვაქცევდი!),
მაგრამ მას მერე, ჩემ და სტეფანს შორის უფსკრული
როცა უთუო სინამდვილედ იქცა, მე ხშირად
ვჩერდები ერთხანს ვიტრინასთან და ოქროს ბეჭდებს
ვათვალიერებ — საქორწინო ბეჭდებს — სიმბოლოს
სიყვარულისას და ცოლქმრული ერთგულებისას.
მე ეს სიმბოლო ადრე რაღას არ მპირდებოდა! —
როს სიყვარული ჭეშმარიტი გრძნობით გვიპყრობდა,
სიმღერა იყო გულის ყველა
სიმით ნაქლერი...

სიმებს სიყრუე შეეპარა მერე და მერე,
მერე აწყობა ვერ შევძელით მისი ვერც ერთმა...
მე დამნაშავე ის მეგონა, სტეფანის თვალში
ბეწვიც კი დირედ, ხოლო ჩემში დირე ბეწვადაც
არ მიჩნდა... და მე მძიმე ტვირთად გადმექცა ყოფა,
ცხოვრება ჩვენი ისე უღვთოდ დაინგრა, უკვე
ერთმანეთისთვის ადგილიც კი აღარ გვრჩებოდა
და ერთმანეთის არსებიდან ვდევნიდით ერთურთს.

მოვალეობა! — თუ რამ შეგვრჩა, ეს გრძნობა მხოლოდ,
თანაც მცირედი — პირობითი და არა მყარი —
ხალისისა და აღტკინების განცდის გარეშე
რასაც ვასრულებთ... გაიცრიცა ირგვლივ ყოველი...
ერთმანეთს უკვე სულ ცოტა რამ გვაკავშირებდა!

სწორედ იმხანად, საქორწინო ჩვენი ბეჭდები,
ორთავე ჯერაც თითიდან რომ არ ვიშორებდით,
გამიკრთა ფიქრში...
და... ერთ დღესაც, სამუშაოდან
შინ მიმავალი ფარდულის წინ როცა შევჩერდი,
ასე ვიფიქრე: სულ ადვილად შეველეოდი
ამ ჩემ ბაჯაღლოს... ოქრომჭედელს შევთავაზებდი;
(სტეფანი ვერც კი შეამჩნევდა ჩემს უბეჭდობას!) —
მე მისთვის თითქმის უკვე აღარც კი ვარსებობდი;
თუ მღალატობდა, დარწმუნებით არც ეს ვიცოდი
და არც ასავალ-დასავალი ვიცოდი მისი —
სულ ერთი იყო უკვე ჩემთვის... მისი ცხოვრება!
კი, შესაძლოა, სამსახურის შემდეგ დროდადრო
შეივლის ხოლმე მეგობრებთან; უბრალოდ, თავი
ლუდით, ჭადრაკით ან ბანქოთი რომ შეიქციოს;
თუ შინ საიდან ბრუნდებოდა შუაღამისას,
რას მივხვდებოდი, კაცი კრინტსაც არ ძრავდა ხშირად, —
ზოგჯერ ორიოდ სიტყვას ძლივს თუ ამოღერღავდა!
თუმცაღა აკი მეც დუმილით ვხვდებოდი მხოლოდ!)
გაჩნდა აზრი და... მე ამჯერად ფარდულში შეველ, —
... ოქრომჭედელმა დიდხანს ზომა თვალით ბეჭედი,
კარგახანს წონა ხელისგულზე დასვენებული,
თან თვალს წამით არ მაშორებდა... გამადიდებლით
მერე გასინჯა ბეჭდის ტვიფრიც — თარიღი ჩვენი
ქორწინების და კვლავ გამჭოლი მომაპყრო მზერა...
სასწორზე ედო ბეჭედი და ისევ სწონიდა...
ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ხმაც ამოიღო:
„შენ ბეჭედს წონა არ აქვს, ისარს ვერ სძრავს სასწორის,
ნულს ვერ ასცილდა, არ გამოდის ეს საქმე ძალით...
მე როგორც ვატყობ, ქმარი უნდა ცოცხალი გყავდეს —

მსგავს შემთხვევაში, ცალკე ბეჭედს წონა არა აქვს,
მხოლოდ ორივე ერთად უნდა იწონებოდეს...

სხვათა სასწორებს არ ჰგავს ჩემი, განესხვავება, —
იგი ლითონის წონას კი არ განსაზღვრავს, კაცის
ყოფიერების, ბედისწერის წონას გვიჩვენებს...“

შემრცხვა, ბეჭედი გამოვართვი სიტყვის უთქმელად,
გარეთ გამოველ, მაგრამ ვგრძნობდი — ჩაფიქრებული
ოქრომჭედლის თვალს ხანჯალივით მობჯენილს ზურგზე...

შინ სულ სხვა ქუჩით ვბრუნდებოდი, ამ ამბის შემდეგ,
დღეს კი კვლავ აქ ვარ... მაგრამ ფარდულს ბოქლომი ადევს.

ზემთხვევითი თანამოსაუბრე

ქალი, დღეს ვისაც ოქრომჭედლის ფარდულთან შევხვდი,
ნამდვილად ვიცი, იქ შემთხვევით არ მოხვედრილა...
მე შევხვდი კიდეც და შემთხვევით ხმაც კი გავეცი...
მან, ამ შემთხვევით საუბარში, გულიც გამიხსნა
და თავის ბედზეც დაწვრილებით მელაპარაკა.

ბოლოს, მოხუცი ოქრომჭედლით უკმაყოფილომ,
საყვედურიც თქვა... ბეჭედი რომ არ შეიძინა...
აწ რაც მას აღარ სჭირდებოდა, რომ არ იყიდა.

ამ საუბარში უცხადესად წარმომესახა
ადამიანის სიყვარულის მთელი გზა თვალწინ

და ისიც, თუ რა სახიფათო ნაპირს მიჰყვება;
რომ, თუ მოსწყდები ამ გზას, ნაპირს იქით ისეთი
უფსკრული გელის, მერე თავს რომ ველარ დააღწევ
და აღმოჩნდები აცდენილი გზას მარტოსული...
ანამ სტეფანის შესახებაც ბევრი რამ მითხრა,
იმდენად ბევრი, მოსამართლედ რომ დავდგომოდი,
მათ განაჩენის გამოტანას არც რა უნდოდა.

ოქრომჭელედიც არ გამოჩნდა, ასე რომ, ანა
რასაც მომიყვა ასე წვრილად, მოწმე არ გვყავდა.

ანა

თავად მიკვირდა,
რომ ასეთი გულახდილობით
ვიღაცა უცხო მამაკაცთან ვლაპარაკობდი —
მისმა მოსმენის კულტურამ თუ გამათამამა!
სულმოუთქმელად ისე მოვყევ სტეფანისა და
ჩემი ამბავი, სიტყვაც კი არ ჩამირთო წამით...

ეს იყო უფრო მონოლოგი, ჩემ ფიქრში რასაც
თავიც ჰქონდა და ბოლოც... თუმცა გასამართლებლად,
რომ წასდგომოდა სტენფანს რამე, მასში არ იყო...
თავდაჯერებით ვუყვებოდი, ეჰვის გარეშე!..

მე ზოგჯერ „წმინდა ქალურსაც“ კი ვურთავდი თხრობას, —
დაფარულ ნაკლზე სიყვარულის... ბზარზე ორს შორის...
და ღრმა ჭრილობის გაუსაძლის, მტანჯველ ტკივილზე.
უცნობი დიდი გულისყურით მისმენდა: მისი

მე ხომ არც გვარი, არც სახელი ვიცოდი. მასაც,
რა მერქვა თუნდაც, ინტერესიც არ გასჩენია.

როგორც კი სიტყვა დავამთავრე, გავვოცდი, როცა
მომიბრუნდა და დაწყნარებით მომმართა: „ანა,
გაჭრილ ვაშლივით მე მგავხართო, ორთავე, შენც და
შენი მეუღლეც, მე სახელად ადამი მქვია“
ცოტაც და, მგონი, მისამართსაც ვთხოვდი (ოდესმე
იქნებ განდობა მომნდომოდა ორიოდ სიტყვით?..).

მერე კი ერთხანს ქუჩას ერთად მივუყვებოდით,
ადამის გვერდით ყოფნა კიდეც მსიამოვნებდა;
ვფიქრობდი: აი, მამაკაცი ნაღდი, უნაკლო,
დაფიქრებული, აზრიანი, შენი ტკივილის
განმქარვებელი (სტეფანისა არა ეცხო რა!).

ცოტა ხნის მერე, როცა იქვე აღმოვჩნდით, სადაც
პირველად ვნახეთ ერთმანეთი, უცებ ადამმა
მომმართა: „აი, ესეც ოქრომჭედლის ფარდული,
აქ, ჩვენს წინ ახლა ნეფემ უნდა ჩაიაროსო...“

ადამი

ახლა, სულ მალე, აქ სასიძო ჩაივლის-მეთქი,
როცა ვუთხარი ანას, სხვა რამ მქონდა გულისხმად,
თუმცა რა სხვა რამ, სიყვარულზე ვფიქრობდი უფრო,
მის სულში ასე ულმერთოდ რომ მინავლულიყო...

და აი, ქუჩებს უკვე მოსდევს ნეფე-ბატონი
და ვილას აღარ უჩერდება... ზოგგან სიყვარულს

გადაეყრება ქუჩაშივე... ზოგგან — უკეთურს
მოუვლენს ხოლმე ბედისწერა და სტანჯავს იგი;

ასეა, როცა სიყვარულის დაშრება წყარო,
უმალ გაჩნდება სიძულვილი და გვირგვინს იდგამს!..

მახსოვს, ქალბატონ ანას ვკითხე: „ამ საქორწინო
ბეჭდის გაყიდვა რად იფიქრე? ვითომ ცხოვრებამ
აზრი დაკარგა? შენ ამისი მტკიცება გსურდა?
ცხოვრება განა აზრს ყოველ წამს არ კარგავს ისეც?! —
ყოველ ნაბიჯზე ერთიანად არ იყიდება?!
ამით ვერაფერს ვერც გახდები და... თანაც საქმე
ის კი არ არის, თავს საკუთარს გაექცე — არა!
მთავარი მაინც ის არის, რომ მონახო შენი
ძველი ადგილი და შეიძლო იქ დაბრუნება...

ცხოვრებას სწორად უწოდებენ თავგადასავალს —
თანმიმდევრობას იგი თავის ლოგიკით მისდევს,
რაც იმას ნიშნავს, შენი ფიქრი, წარმოდგენებში,
მხოლოდ საკუთარ თავს არ უნდა „არგუნო“ მძევლად...
ანამ იკითხა: — მაშ, ვის უნდა მიაგო იგი?
— სიმართლეს! — ამას რა თქმა უნდა, მხოლოდ სიმართლეს!

ანა

განა ის, რასაც უმძაფრესად განიცდი, იგი
ვითომ სიმართლე რად არ არის? — მოულოდნელად
საუბარს ჩვენსას მხარი ექცა, — ეს საუბარი
სად მიგვიყვანდა ძნელი იყო ამის მიხვედრა;

ეფუძნებოდა იგი, ალბათ, ორად ორ რამეს —
ჩემს მგრძნობელობას და ადამის გონიერებას...

თუმცა სტეფანი ერთხანს ჩემი ცნობიერების
მიღმაც კი დარჩა, პატიება ვერ შევიძელი;
ერთი რამ მკლავდა, რანაირად, როგორ ბედავდა
შებღალვას ჩემი არსებისას მის არსებაში?!.
ჩემი ხატი ხომ სტეფანშიაც ისახებოდა?! —
ასე იყო თუ ისე, ცოლი ვიყავი მისი!..
არ მიმიკლია არც სინაზე, არც თანაგრძნობა —
მიბრძანეთ ერთი, სიყვარული ყურადღების და
გრძნობის ნაყოფი რით არ არის ვითომ? როდესაც
ორი ერთმანეთს ხვდება აკი იქმნება წრედი
და ატმოსფერო თავ-თავისი მძაფრი გრძნობებით? —
აი, სიმართლე თუკი გნებავთ, ეს არის იგი...

ადამის აზრი ჩემს აზრს სრულიად არ დამთხვევია,
არც დამეთანხმა, — სიყვარული ადამის აზრით
არის სინაზე ორის თანაარსებობისა,
ერთ რომელიღაც წერტილში რომ ერთმანეთს ერწყმის...
ეს რომ განმარტა, მერე ისევ გამიმეორა —
მალე სასიძო ჩაივლისო ამ ტროტუარზე.
კვლავ მოსმენილმა გამიგიჟა ცნობისწადილი,
მოულოდნელად დამეუფლა სევდა, გამიჩნდა
სურვილი ნაღდი მამაკაცის — კეთილშობილის,
გაბედულისა, ერთი სიტყვით, არა ისეთის
სტეფანი როა; რა თქმა უნდა, არა ისეთის!..
სევდასთან ერთად გამიტაცა სხვა გრძნობის ტალღამ —

თავი ვიგრძენი შედარებით ახალგაზრდულად,
წარმოიდგინეთ, უნებლიეთ ისე ავჩქარდი,
რაღაც სისწრაფედ რომ გადიქცა... თან ყურადღებით
ქუჩაში მხოლოდ მამაკაცებს ვაკვირდებოდი...

3.

ANA

პირველს, ვისაც შევეხე, ჩემკენ არც კი გამოუხედავს. აშკარა იყო, ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა; რა ვიცი, იქნებ სულაც საკუთარ საქმეებს ჩაღრმავებოდა... შესაძლოა, ფირმის დირექტორი ან დიდი დაწესებულების მთავარი ბუღალტერიც კი იყო. ასე რომ, ჩემკენ არც კი შემობრუნებულა — მხოლოდ „მაპატიეთ" მომეყურა...

1.

მაპატიეთ.

ANA

მიუხედავად ჩემში გაჩენილი „დაუძლეველი" სურვილისა, მისი ყურადღების მიქცევა არც მიფიქრია... არ ვიცი, რა მოხდა და როგორ მოხდა, მაგრამ მაშინ ერთი მართლაც დაუძლეველი სურვილი მომეძალა — ყველა მამაკაცის ყურადღების ცენტრად ვქცეულიყავი... თავიდათავი მიზეზი ამის იქნებ ის იყო, სევდა ასე რომ მომეძალა; იქნებ, რა ვიცი!.. მხოლოდ ერთ რამეს ვგრძნობდი მტკიცედ — რომ ეს უფლება იყო ჩემი და ამ გრძნობაზე ხელს ვერავინ ამაღებინებდა.

ადამი

ადამიანის სიყვარულზე ფიქრი სწორედ ამან მაიძულა... ამაზე უფრო აშკარა ადამიანის ცხოვრებაში არა არის რა, მაგრამ ამავ დროს, უფრო მიუწვდომელი და უფრო იდუმალიც არაფერია. არსებობს შეუსაბამობა ზედაპირზე არსებულისა და იმას შორის, რაც სიყვარულის იდუმალებაა — წყარო ჭეშმარიტი დრამისა... ეს — კაცობრიობის ერთ დიდ დრამათაგანია. სიყვარული ერთ ადგილზე არ დგას... მისი დინება სწრაფია, ბრწყინვალე, ცვალებადი — კალეიდოსკოპი მჩქეფარებისა, გაცხადებული მომხიბვლელობისა. ეს დინება ზოგჯერ ისე თავბრუდამხვევად სწრაფია, რომ ადამიანს უმალ იტაცებს, უმალ ხიბლავს, უმალ ატყვევებს... ადამიანი ისეთი შთაბეჭდილების ტყვე ხდება, თითქოს სიყვარულის საიდუმლოებას ბოლომდე ჩასწვდა, არადა სინამდვილეში სიახლოვესაც კი არაა გაკარებული. ამ დროს იგი, ადამიანი — ქალი თუ კაცი — გარკვეულ წამებში თავს ისე ბედნიერად გრძნობს, ასე ჰგონია, არსებობის იდუმალ სამანს უკვე „მისწვდა“ და ყოველი მისი საიდუმლო შეიცნო კიდეც, შეიცნო ისე, გაუცნობიერებელი მეტი რომ არაფერი დარჩა. დიახ, დიახ, ამ თავდავიწყების მეორე მხარეს, მათი წარმოდგენით, უკვე, აღარაფერია, მაგრამ... ეს აკი შეუძლებელია? არაფერის არსებობა გამორიცხულია!.. დამერწმუნეთ, აბსურდია ეს! ადამიანი — ვინმე kontinuum-ი — მუდმივი და მთლიანი არის, — ასე რომ, მასში არაფრის არსებობა გამორიცხულია!..

ანა

მეორე შემხვედრი სულ სხვანაირად მოიქცა. როგორც კი თვალი დავადგი, იგრძნო და შეჩერდა. დამაკვირდა. ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ და თქვა: „მგონი, ადრეც მყავხართ ნანახი...“

2

მგონი, სადღაც მყავხართ ნანახი...

ანა

მისთვის მხარზე თავი რომ არ ჩამომეღო, თავი ძლივს შევიკავე. აკი საღამო მოალერსე სითბოში მხვევდა!.. ოქტომბრის ჟღალ, ჟანგისფერ ფოთლებში განათება უფრო და უფრო მატულობდა და მე უკვე სიყვითლეშეპარულ წაბლის ხეების ხეივანში გასეირნება მინდოდა, ოღონდ, მარტო არა — უსათუოდ მამაკაცთან, ჩემ მეწყვილესთან ერთად... მეორე შემხვედრის ხმა ახლა უკვე მეორედ მომესმა: „რესტორანში ხომ არ შევსულიყავით? მსუბუქი მუსიკის მოსმენა სასიამოვნოა ყოველთვის...“

2

რესტორანში ხომ არ შევსულიყავით? მსუბუქი მუსიკის მოსმენა სასიამოვნოა ყოველთვის...

ანა

„მერე?..“ — არაფერი მიპასუხა; მე კი ამ ჩემმა „მერემ“ გვარიანად შემაშინა. ამას, ალბათ, ცოლიც ეყოლება, რაზეც ახლა კრინტსაც არ ძრავს; და... უცებ მივხვდი „შემთხვევითი ქალი“ რასაც უნდა ნიშნავდეს. რაღაცა ძალამ შემაჩერა, ლოყა მხარზე რომ არ მივადე... მართალი გითხრათ, დიდ ინტერესს არც ის იჩენდა. რამაც, „შემთხვევითი ქალის“ არსის გაგებაში რაც იგულისხმებოდა, უფრო კარგად გამარკვია. არ ვიცი, რამდენი ნაბიჯი და რა მიმარ-

თულებით გადავდგი. მგონი, ქვაფენილს საერთოდ ავცდი, ძველ ქალაქს გარშემო რომ ერტყმის და ეკლესიისკენ ავიღე გეზი, თახჩებში წმინდანთა ფიგურებით გაბრწყინებული ეკლესიისკენ; ბოლო თახჩაში — მახსოვდა — ჯვარცმაა, ღამღამობით წინ გაბრწყინებულ ლამპრით როა განათებული. ფერად-ფერადი მინებიდან გამოღწეულ ამ ბრწყინვალებას უკვე ვარჩევდი... გზადაგზა „ის“ აკვიატებული ფიქრი არ მასვენებდა და ნებისმიერ მამაკაცთან შეხვედრისკენ მიბიძგებდა. ერთმა მათგანმა, აი, ახლა ისე ახლოს და ისე სწრაფად ჩამიარა, რომ ჩანთის კუთხე მარჯვენა მკლავის მტევანზე დაკიდებულ ქოლგაზე გამომდო. მესამემ შლაპის მოხდა დაიწყო, მზერა დაჟინებით მომაპყრო და უმალ შუბლზე ჩამოიფხატა. „არა, არ ვიცნობ...“ რაღაც ამის მსგავსი მომესმა.

3.

არა, არ ვიცნობ...

ანა

მე ახლა უკვე ტროტუარზე ვარ; უფრო სწორად, ბორდიურს მივყვები ისე, როგორც ჩემი ბავშვობისას... მაშინ შემეძლო ბორდიურებზე დიდხანს და სწრაფად ისე მერბინა, ფეხი ერთხელაც არ დამცდენოდა. ეს მაშინ ჩვენი საყვარელი გართობა იყო, მეგობრები ხშირად ხუმრობით ვკამათობდით ხოლმე, არა მე გჯობივარ და არა მეო...

და აი, მე ახლაც ბორდიურზე ვარ, მაგრამ სირბილით კი არ მივყვები, ნაბიჯით მივდევ... თვალები, ვიცი, მშრალი მაქვს, მაგრამ მიბრწყინავს. აი, მანქანაც წამომეწია. ახალი მარკის უბრწყინვალეს მანქანას შუშა სანახევროდ აქვს ჩამოწეული. საჭეს მამაკაცი უზის. მე შევჩერდი.

ადამი

სიყვარული თავგადასავალი არ არის... მას გემო აქვს, ადამიანის გემო, ისეთის, როგორი ადამიანიც თვითონაა... სიყვარულს მისი კუთრი წონა აქვს და მისი ბედისწერის მთელი სიმძიმე მას აწევს. შეუძლებელია, სიყვარული წუთი რომ იყოს... მასში ადამიანის მარადისობაა გაცხადებული... სწორედ ამიტომ იგი მხოლოდ ღვთით იზომება, მარადისობა რადგან მხოლოდ ის არის — ღმერთი. ადამიანი დროის მცირე დინებას მისდევს... დაივიწყე. დაივიწყე... იარსებე მხოლოდ ახლა, მხოლოდ ამ წუთით... განუდექი მარადისობას... ამ ერთი წუთის ნაბოძები სრულად მიიღე და ყოველივე უმალ დახარჯე... ო, ეს შეჩვენებული წუთი და წუთები, წუთები, რომელთა მთელ უსასრულობაში შენ უნდა ეძიო იმ, აი იმ ერთ წუთთან დასაბრუნებელი გზები, რათა კვლავ დაეუფლო მას და — მისი საშუალებით — „ყოველივეს“.

ანა

მე შევჩერდი.. მანქანას, ნახევრად ღია ფანჯარასა და მამაკაცს მზერა ერთდროულად მივაბჯინე. მახსენდება, სტეფანი მეუბნებოდა — „ძვირფასო, მანქანას, როცა იქნება, მეც ვიყიდი და შეუცნობადისკენ ჩვენც გავიქროლებთ — ლამაზები, ელეგანტურები“. კაცმა შემომხედა. მე მივუახლოვდი. მან ფანჯარა ბოლომდე ჩამოსწია. ხმა დაბალი ჰქონდა და თბილი: „გთხოვთ...“

4.

... გთხოვთ.

ᲐᲜᲐ

... თქვა და მანიშნა, გვერდით დავჯდომოდი; ახლა იგი მანქანას „ჩართავს“, მერე დასძრავს და იდუმალი მხარისკენ ორნი გავეშურებით... თუ გინდა თავით მიეყრდენ მხარზე; თუ გნებავს, ხელით ხელზე შეეხე, ამ წუთში, ახლა გზის სერპანტინს რომ იმორჩილებს... საჭეს მამაკაცური ხელი მართავს... მალე ზემოდან განათების ძაბვასაც ვიგრძნობ... კვლავ დამედება ფასი... მისი ხმა ისევ მომეყურა: „გთხოვთ...“

4.

გთხოვთ.

ᲐᲜᲐ

ჰო, მე ეს მინდა, ძალიანაც კი... უკვე სახელურს მოვეჭიდე, გამოწევა და... უცებ ხელზე მამაკაცის ხელი ვიგრძენი. ავხედე, თავს კვლავ ადამი მადგას. სახეზე დაღლილობისა და აღელვებულობის კვალი ემჩნევა. თვალს თვალში მიყრის. თქმით კი არაფერს ამბობს. ბოლოს მაინც თქვა: „არა“.

ᲐᲓᲐᲛᲘ

არა.

ᲐᲜᲐ

ვიგრძენ, მანქანა როგორ დაიძრა... წამიც და მისი კვალიც უკვე აღარსად ჩანდა. ადამმა ხელი შემიშვა. მე ადამს მივუბრუნდი: „კვლავ დაბრუნება შენი ძალზე მეუცნაურა, ასე მეგონა, სამუდამოდ გაუჩინარდი. ამდენი ხანი სად იყავი?“

ადამი

დავბრუნდი, რათა შენთვის ქუჩა მეჩვენებინა; ეს უჩვეულო ქუჩა არის. უჩვეულო არა იმიტომ, რომ ან მაღაზიებითაა გამორჩეული, ან ბრწყინვალე შენობებით და ნეონის ცეცხლის ნაირფეროობით, უჩვეულოა იგი ხალხით. გახედე, ქუჩის მეორე მხარეს გოგონები მიუყვებიან. იცინიან და ერთმანეთს ხმამაღლა რაღაცას ელაპარაკებიან. შენ კი, ნამდვილად არც იცი, საით მიდიან. საით და ზეთის საყიდლად; ლამპარში ზეთი დაუშრათ და პატრუქი ჩაუქრათ. ჩაასხამენ ზეთს და ლამპრებიც განათდებიან.

ანა

მართლა?

ადამი

ესენი ჭკვიანი ქალიშვილები არიან. დაითვალე, რამდენია. ხუთნი უნდა იყვნენ. უკვე გაიარეს; შენ ალბათ გიკვირს, გრძელი, აღმოსავლური კაბებით რომ არ არიან. ისინი ამინდის შესაფერისად და ჩვენი ტრადიციის მიხედვით არიან ჩაცმულები. თუ რამით უჩვეულონი არიან, მხოლოდ ლამპრებით; და ყველას უკვირს, საით მიაქვთ ეს სანათები. იქნებ, არც უკვირთ? ჩვენს ეპოქაში ხალხმა აკი გაკვირვების უნარიც კი დაკარგა! აბა, ახლა, აი, იქით გაიხედე. აი, იქით რომ ქალიშვილები ჩანან, ისინი უგუნურები არიან. თვითონ სძინავთ, ლამპრები კი გვერდით, კედელზე მიუყუდებიათ. ერთს, მგონი, კიდეც დაუგორდა ქვაფენილზე და ბორდიურის კიდეს მიასკდა... შენ გეჩვენება, ამ თახჩებში ეძინათ თითქოს, სინამდვილეში კი ისინიც ქუჩას მიუყვებიან... მიდიან ისინი და სძინავთ ზეზეურად... თითქოს საღათას ძილში მოძრაობდნენ და საკუთარი არსით

რაღაცა მიძინებულ სივრცეს მიეზიდებიან... ამ სივრცეს ახლა შენ-შივე შენც გრძნობ, რადგან ცოტაც და, დაიძინებდი... მე მოველ, რომ გამეღვიძებინე. მგონი, სულზეც მოგისწარი...

ანა. რად გამაღვიძე? რატომ?

ადამი

რატომ და, მალე ამ ქუჩაზე ს ა ს ი ძ ო ჩაივლის. გონიერი ქალიშვილები მის შესახვედრად ლამპრებით გამოდიან გარეთ. უგუნურებს კი სძინავთ. და არც ლამპერები ახსოვთ... დარწმუნებული ვარ, ისინი გაღვიძებას ვერც მოასწრებენ და რომც მოასწრონ, ლამპრების მონახვას, ანთებასა და ძილიდან გამორკვევას მაინც ვერ მოასწრებენ.

ანა

მართალია. აგერ, ლამპრები ქუჩაზე უყრიათ... ესეც რომ არა, ახლად გაღვიძებულთ ძილიდან გამორკვევა ნამდვილად გაუჭირდებათ. სასიძო სწრაფად ჩაივლის. ნაღდად ახალგაზრდაც იქნება და ცდას არავის დაუწყებს...

ადამი

პირიქით. მომლოდინეა ყოველთვის ნეფე. იგი მხოლოდ მოლოდინით ცხოვრობს, მაგრამ... იმ ეგრეთ წოდებული სიყვარულის მეორე მხარეს, გრძნობისა, რომლის გარეშე კაცს ცხოვრება არ შეუძლია. თუ გინდა, შენი მაგალითიც იკმარებს. სიყვარულის გარეშე ცხოვრება შენ არ შეგიძლია. მე შორიდან გიყურებდი, ქუჩას როგორ მიუყვებოდი და მამაკაცების ყურადღების მიქცევას როგორ ცდილობდი. მე შენი სულის კივილი თითქმის მეყურებოდა — სასოწარკვეთილი როგორ უხმობდი სიყვარულს, რასაც მოკლებული

ხარ. შენ დაეძებდი ნებისმიერს, ვინც ჩაგკიდებდა ხელს და მოგეფერებოდა... ო, ანა, როგორ დაგაჯერო, როგორ, რომ მეორე მხარის ჩვენი შემასვებელი სიყვარულის გრძნობა სიყვარულია! სასიძო კი გაივლის ამ ქუჩაზე, მაგრამ აკი იგი სხვა, ნებისმიერ ქუჩაზეც გაივლის?! როგორ დაგარწმუნო, როგორ, რომ შენ ხარ პატარძალი?! არადა, პირდაპირ ახლა, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე, უნდა გაიხსნას შენი სულის გარსი ისევე, როგორც ეს წყაროს მაძიებელთ სჩვევიათ, როცა ისინი ჩამოცვენილ ფოთლების გროვას გულს გადუხსნიან და სოველი ნიადაგიდან წყაროს პირველ ნაჟურს ელიან... შენ თუ ამას შეძლებ, უმალ მის ხმას გაიგებ: — საყვარელო, შენ ხომ წარმოდგენაც არ შეგიძლია, რამდენად მეკუთვნი მე. შენ თითქმის საკუთრება ხარ ჩემი სიყვარულისა და ტანჯვისა, რადგან „სიყვარული“ — სიკვდილისაგან განსხვავებით — მიმნიჭებელია სიცოცხლის, რადგან „სიყვარული“ უკვდავების წყალს ნიშნავს, სულის სიღრმიდან ამონანჩქრევს, ცეცხლია, რომელიც ბრიალებს ან ინავლება, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ იწვის. ო, ცეცხლო და წყაროვ! — შენ წყაროს ვერ ამჩნევ, ხოლო ცეცხლი კი, ცეცხლი გწვავს. ასე არ არის?

ანა

არ ვიცი. ოღონდ იმას კი ვხვდები, შენი აზრები ჩემი სულისაკენ რომ მოგიმართავს. ნუ გეშინია, სული ჩემი ჩემს სხეულშია, ან — უსხეულოდ სულისმიერს ეწევი რასმე?! მე უგუნური არსება ვარ! აი, ამ უგუნურ ქალთაგან ერთი მეც ვარ! რატომ გამაღვიძე, რატომ?

ადამი

ეს წუთია, ანთებული ლამპრებით გონიერმა ქალიშვილებმა გაიარეს. აგერ, ხომ ხედავ! ლამპრები ასე იმიტომ უჩახჩახებთ, რომ საგულდაგულოდ აქვთ დაწკრიალებული და აი, ახლა მხიარული თამაშ-თამაშით მიუყვებიან ქუჩას.

ანა

მე იმ ქალწულებს თვალი ისევ მოვკარი. სახეზე თითქოს განსაკუთრებული გულისყური გამოხატოდათ, ვერ იტყოდი. ნეტავი უცოდველნი და კეთილშობილნი არიან მართლა? თუ, ჩემგან განსხვავებით, მათ, უბრალოდ, ცხოვრებაში უფრო გაუმართლდათ?.. ო, შე სულელო დედაკაცო, ყოვლად უტვინო, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის გაღვიძებულო, იმავ წამს ძილი კვლავ რომ განაგრძო... მერე იყო და, „თვალთახედვას" არც ეს გამორჩა, ქუჩას „ვიღაცა" მამაკაცი მიუყვებოდა, უშლაპოდ იყო, შემოდგომის მსუბუქ პალტოში... თავიდან სახე ვერ გავარჩიე; თავდახრილი იყო და ჩაფიქრებული ჩანდა. მე ჩემსუნებურად მასთან შესახვედრად გავიწიე. როგორც კი თავი ასწია, შეკივლებისგან თავი ძლივს შევიკავე... ასე მომეჩვენა, თითქოს აშკარად სტეფანის სახეს შევრჩი; მე უმალ უკან-უკან დავიწყე დახევა, ზუსტად იქამდე, სადაც იმწამს ადამი იდგა. როგორც კი გავუსწორდი, მკლავში ჩავაფრინდი... ადამმა თქვა:

ადამი

მე ვიცი, უკან ასე სწრაფად რატომ იხევდი. მოულოდნელი იყო მისი გამოცხადება და შეშინდი.

ანა

გამოცხადება ჩემთვის შემზარავი კაცისა... მაგრამ იმავ დროს თითქოს ვიგრძენი, რომ ეს. იყო იმ კაცის სახე, რომელიც უნდა მყვარებოდა, უნდა მიყვარდეს! რას მერჩი, რატომ მიწყობ ასეთ გამოცდას?

ადამი

ს ა ს ი ძ ო ს სახით ყველა ნახულობს იმ სახესთან მსგავსებას, ვისთანაც ჩვენ სიყვარულმა დაგვაკავშირა აქ, სააქაოს, ამ ყოფაში. ყოველის სახე მ ა ს შ ი არის.

ანა

მეშინია.

ადამი

სიყვარულისა გეშინია. ნუთუ მართლა გეშინია სიყვარულისა?

ანა

ჰო, მეშინია. რატომ მაწამებ ასე, რატომ? ამ მამაკაცს სახე სტეფანისა ჰქონდა. მე მეშინია ამ სახის.

4.

ჟორჟ. სტეფანი

ჯაჭვი ცეცხლისა გაწყდა; სიტყვა სიტყვას დაშორდა,
მაგრამ არც დრამა და არც ფიქრი... არ შეწყვეტილა!
ადამიანი რჩება იმად, იყო როგორიც...
ბედისწერაა, როცა ერთის ადგილს მეორე
გაითავისებს და... ირღვევა ერთიანობა!..

შუქი ტროტუარს გადაევლო, ცეცხლი დადაბლდა...
იქნებ ლამპრებში ზეთი უკვე გამოილია?

არა! ცეცხლს ზეთი როდი კვებავს,
წყლით არის იგი!.. —
წვიმს და სველდება ტროტუარი და მთელი ქუჩა.

ო, უგუნურო ქალწულებო, სად გაგიგიათ,
რომ წყლიდან ვისმეს ცეცხლის ალი ამოეყვანოს!..

(კაცს სისველისგან ლანჩა იცავს ფეხსაცმელისა!..)

დაბნეულობას და მონაჩმახს ნუკი აჰყვებით! —

აქ არც არვის გაუვლია და არც არვის
არ წაუღია, რა თქმა უნდა, ცეცხლი აქედან.
აქ ყოველივე ისე არის, ადრე რომ იყო!
ხეები წვიმით საზრდოობენ, და აქამომდე
ხეთა ფესვებმა არ იციან, ჟანგი რა არის!

სტეფანის ხელი... ანას სველი თმა და ლაბადა —
ეს იყო... თუმცა არსებულის კვლავ დაბრუნებას
ვინ გვაიძულებს?.. — არც არავინ! თმა სოველია
მხოლოდ იმიტომ, რომ ამჟამად გაზაფხულია,
ანდა დამდეგი — შემოდგომის... შენ ნუ იტირებ!

შენ არც სხვად იქეც და არც თავისუფალი არ ხარ...
— ირიბი წვიმა წამოსულა, ცერად გაბმული!..

ზეთს პატრუქი სვამს,
ხოლო ცეცხლს — წყალი...
ქვა კი წყალს არ სვამს,
რაღა თქმა უნდა...

მაგრამ წყალმა ხომ
ცეცხლი დალია
და პატრუქებზე
ჩანავლდა ცეცხლი?

ორმა დამქრალა ჭრაქმა
ცეცხლი არ მისცა ერთურთს...
არც ცეცხლი მისცა,
არც პატრუქი არ უწილადა...

პატრუქი ერთმა
არ გაუყო მეორე ლამპარს
და ორი ჭრაქი ასე დარჩა
ირიბ წვიმაში!

უკვე დედდება შებინდება,
ღამე ჩამოდის...
იგი სინათლით მოგვევლინა,
ნათლით მოვიდა,
გაიარა და ნათლის კვალი
დატოვა ირგვლივ,
მას გადაქცევა სურდა შენად,
შენად და ჩემად...
და ვაგლახ, ისე ჩაგვიარა,
არც კი მოგვხედა.
ახლა რომელი საათია? —
ვერ მეტყვის ვინმე?..
ეს მე ვარ, მე ვარ! —
ძალას ჰკარგავს
სტეფანის მკლავი,
ანას გაუშრა სოველი თმა,
ხოლო თვალები...

5.

ა ნ ა

როცა აბურდულ სიზმრებიდან თავი დავიხსენ,
იმავ ადგილას ვიდექ, სადაც ადრე ვიდექი...
კვლავ დაკეტილი იყო ოქრომჭედლის ფარდული;
ახლა ვიხსენებ, მისი მზერა რას მეტყველებდა...
იგი უთქმელად მიბრძანებდა: ნუ დაეშვები
იმაზე დაბლა, რასაც ჩემი ვერ ჩასდევს თვალი;
უფსკრულს ნუ ჩასდევ, თორემ მთელი შენი არსება
ვერ დაიდება ჩემი სასწვრის ვერც ერთ პინაზე!..

როცა იდუმალ იმედებით ასე ნაოტი
დანაპირები სასიძოსკენ მოვიჩქაროდი,
მოულოდნელად წარმომიდგა სახე სტეფანის...
ნუთუ ეს სახე მ ა ს ა ც უნდა ჰქონოდა, ღმერთო? —
მაინცდამაინც რატომ მისი? ო, რატომ, რატომ?

შვილები
(მონიკა და ქშიშტოფი)

1.

ტერესა

ჰო! იმ დღეს, როცა მონიკაზე მელაპარაკა
ქშიშტოფი, ქუჩას ნება-ნება მივდევდი უკან,
შინ სულ სხვა გზებით ვბრუნდებოდი... თითქოსდა განზრახ
ახალ ფოლორცებს ვეძებდი და ვხლართავდი სავალს.
რაც გამიმხილა, საფიქრალი ხომ იყო ჩემიც?!
რაღაცა სითბო მეც ხომ უნდა გამეღო მათთვის?
მე მონიკაზე ბევრი რამე ადრეც მსმენოდა —
თანაკლასელი იყო ჩემი ქშიშტოფის, ისიც
ვიცოდი, ქშიშტოფს რომ მოსწონდა; რამოდენჯერმე
ნანახიც მყავდა — მორცხვი, სუსტი, გულჩათხრობილი
პატარა გოგო, ჩაკეტილი საკუთარ თავში...
ეტყობა, იმათ მსგავსი, ვისიც ნამდვილი სახე
აშკარად არ ჩანს...: ჭეშმარიტი სულიერება
ვისიც ისეა დაფარული, შემჩნევა გვიჭირს,
მით უფრო — მისი შეფასება თავდაჯერებით.

ასე რომ, უცნობ ქუჩების კვალს ადევნებული
თუმც მონიკაზე კი ვფიქრობდი, მაგრამ ერთთავად
ქშიშტოფი მედგა თვალწინ... ჩემი ცხოვრების აზრი,
გაბმული ფიქრი... თანამდევი ყველგან, ყოველთვის...
შვილზე ფიქრს ჩემი საფიქრალის მთლიან სივრცეში
უკვე იმდენი გაეჩინა ბილიკი, მე რომც
სულ სხვა ფიქრების მადევარი ვყოფილიყავი,

მის ბილიკთაგან ერთ-ერთს მაინც მივადგებოდი...
უწყვეტი იყო შვილზე ფიქრი...
მე ახლა (მგონი)
ჩვენი ნაცნობი ოქრომჭედლის ფარდულთან ვდგავარ,
ჰო, აქ, აქ იყო... აქ დგას სწორედ ის სარკე, სადაც
ანჯეისა და ჩემი ბედი აღჩნდა ოდესღაც...

მახსოვს, ჩვენ მაშინ ზღრუბლთან ორნი დიდხანს ვიდექით,
თვეც კარგად მახსოვს — ოქტომბერი, ჟამიც — მიმწუხრი...
კრთოდნენ ბეჭდები ვიტრინიდან — საქორწილონი, —
ანჯეისა და ჩემს თითებზე რომ გაკრთნენ მერმე...
ამ უცნაური სარკის წიაღ ჩნდებოდა ჩვენი
უახლოესი მომავალი... ჩვენს წინ აღმართულ
ხილვის კედლიდან ვიღაცები გამოდიოდნენ,
ჩვენთან შეხების წერტილები გააჩნდა ვისაც;
ჩვენს სმენას მათი საუბარი სწვდებოდა მკვეთრად;
ის კი არა და, მათ ფიქრსაც კი კარგად ვისმენდი...
მაშ ასე, ორი ოქროს ბეჭდის წყალობით ორნი
ვყალიბდებოდით ერთარსებად — ეს იყო სარკის
აწყმო — ხილვადი, მყოფადი კი — შეუცნობელი...
ქშიშტოფი, ჩემში ჩასახული, არ მოვლენოდა
ჯერაც ქვეყანას, ხოლო ბედი, ბედი ანჯეის
ხვალინდელი დღის და... ამბავი ჩვენი ერთობის,
იგი, რაც მაშინ არ ვიცოდით, მკვეთრად გაცხადდა...
როცა ანჯეი მიდიოდა ომში, ქშიშტოფი
სულ რაღაც ორი წლისა იყო... რა დამავიწყებს,
ყმაწვილი როგორ აიტაცა წასვლისას მამამ
და დიდხანს, დიდხანს როგორ ჰყავდა ჩახუტებული...

მერე რა მოხდა? — მათ ზურგს უკან დაიხშო კარი!.. —
ასეთი იყო მამა-შვილის ბოლო შეხვედრა;
ქშიშტოფს არ ახსოვს მამა; ჩვენი ერთარსებობა
აი, ეს არის, რაც ამანაც გაითავისა...

ემატებოდა ქშიშტოფს წლები.
ჩემში ანჯეი
მუდამ ცოცხლობდა, იგი ფრონტზე არ დაღუპულა...
ის ჩემთანაა ახლაც — თანაც, წარმოიდგინეთ,
ისე, რომ სახლში დაბრუნება არც კი სჭირდება...

რა საშიშია შიშის გრძნობა, ვერ წარმოიდგენ, —
ჩემო მეუღლევ! — შიში, მტერი სასოებისა,
ყოველწამიერ მომწყვლელი და მგესლავი გულის...
არც იმედია, ნაღდად, ქვეყნად შიშის გარეშე
და არც იმედის გარეშეა შიში არასდროს...
ქშიშტოფში, ზრდასთან ერთად, უფრო მეტად ვამჩნევდი
ბუნებას შენსას, შენ თვისებებს; სინამდვილეში
მე უჩვეულო პიროვნების შენის მორჩილად
ვრჩებოდი ისე, როგორც ნებსით ჩაგბარდი ადრე
და საიდანაც თავის დახსნა ვერ შევძელ მერმე...
შენ კი, ანჯეი, არსად ჩანხარ, ჩემო დამხსნელო,
თავს არც იწუხებ.
სარკის იქით ოქრომჭედელი
ბეჭდებსა კრებდა; სარკის მიღმა დაშორიშორდა
ბედი ორისა, თუმცა შეგვრჩა ერთარსებობა;
ქშიშტოფი, ჩემო, დღეს გამენდო: მომიყვა ერთი
სუსტი, მორჩილი ქალიშვილის, მონიკას ამბავს;
მომიყვა ისე, ვით ოდესღაც დედაშენისთვის
ჩემი პორტრეტი შენ შექმენი თავათ — „ტერესა...“

სათქმელი ითქვა:
და დღეს ისევ შევყოვნდი ერთხანს
ჩვენი ნაცნობი ოქრომჭედლის ფარდულთან; ვიდექ
ვიტრინის წინ და ვკითხულობდი უუცნაურეს
ჩვენი ამბავის გაგრძელებას...
მოხუცის თვალებს
ჩვენი ახალი ყოფის ჰორიზონტალი ჰკვეთდა,
იმართებოდა ვერტიკალი გულებით (იგი
უერთდებოდა ჰორიზონტალს), ღმერთო მაღალო,
მერე იყო და გაბრწყინებულ წყვილს შევყურებდი;
მონიკაში რომ შეცვლილიყო რაღაცა მკვეთრად,
ამის დასტურად ღიმილიც კი კმაროდა მისი...
ქშიშტოფმა უცხო სულს მოარგო გასაღები და
ქალ-ვაჟის ფიქრი ასერიგად შეერწყმა ერთურთს.
(წარმოვიდგინე თავი წამით მონიკად, თითქოს
მონიკა ვიყავ, საყვარელო, და შენ გხვდებოდი...)
მათ იქნებ ისე ჩაეარათ, ვერც შეევმჩნიე,
მაგრამ ჩემშიც ხომ ჟღერდა მათი საუბრის ხმები? —
ის კი არადა, მათ თითოეულ სიტყვასაც ვკრებდი...

2.

ასეთი იყო საუბარი ქშიშტოფისა და მონიკასი

ქშიშტოფი

მამა არ მახსოვს. მე კი კარგად არც ვიცი, კაცი
როგორი უნდა იყოს — არც მზა მქონდა მოდელი!..
ფრონტზე დაღუპვის მერეც მამა შერჩა დედაჩემს...
მე კი ერთხელაც არ მწვევია... დრო გადიოდა
ისე, რომ გვერდში ერთხელაც არ მდგომია იგი.

მამის იდეებს მინერგავდა დედა... უნდოდა
ამ იდეებით გავეზარდე; მე კი უღმერთოდ
ტვინს მიბურღავდა დედის მძიმე, დუხჭირი ხვედრი...
ქალური ხვედრი... მარტოობის სიცარიელე... —
მასთან არმყოფი კაცის ყოფნით რომ ივსებოდა!..
ბედს ამგვარს შენთვის არასოდეს არ ვისურვებდი!
ჩემი სურვილი ერთმანეთის გვერდით დგომაა,
რომ ერთმანეთთან შერწყმა შევძლოთ... აი, ვით ახლა;
ვით ვირწმუნო ის, თითქოს შენში დედაჩემისა
იმდენი რამე იყოს, რისი ხილვისთვის კაცი
მაინცდამაინც უნდა მოვწყდე მის სიახლოვეს?!
ჩემი ცხოვრება სულ სხვა კვალში დგება, რისთვისაც,
ჩემო ძვირფასო, შენგანა ვარ დავალებული.
ყოფიერების ჩემის ახლებურად შეცნობა
შენი მადლია; თუ მრავალმხრივ შევხედე ჩემ თავს,
ამგვარად მრავალწახნაგოვანს, თუმცა ერთს, მთლიანს, —
შენით და შენით, შენი გვერდით დგომით შევიძელ.

მონიკა

თუმც საკუთარი თავის შიში ნიადაგს მაცლის,
შენს გამოც, ჩემო, არანაკლებ მაძრწუნებს ფიქრი;
აქამდე მხოლოდ შენს გამო თუ მდევდა ეს გრძნობა...
კი, მამაშენი წავიდა და ომს შეეწირა,
მაგრამ ერთობას თქვენსას აკი არ შეხებია —
შენ — მისი ასლი, ხატება ხარ გამოსახული,
დედაშენი კი — შემოქმედი სიყვარულისა, —
ქმრისა და შვილის სიყვარულის...
ჩემი მშობლები
ისე ცხოვრობენ, არ იცნობდნენ თითქოს ერთმანეთს;

საერთო, რასაც ესწრაფვიან ისინი, ვისაც
ერთად ცხოვრება უნდათ, მათთვის ვერ მოინახა.
იქნებ ჩვენც ვცდებით, ჩემო? ასე ცხოველი გრძნობა
ცეცხლივით ვითომ შემოგვრჩება მომავლისათვის?
მამაჩემივით იქნებ ერთხელ შენც გადიხვეწო
ისე, რომ სახლში იყო, მაგრამ სახლში არ იყო...
ან იქნებ, როგორც დედაჩემმა, მეც სხვა გზა ვნახო,
გაუცხოების მძიმე გრძნობით გაორებულმა?..
ან, კაცმა რომ თქვას, შეიძლებს კი ადამიანი,
ვიდრე არსებობს, სიყვარულს რომ შერჩეს ბოლომდი?..
თუმც სიყვარულით პირთამდე ვარ აღვსილი, სულში
გრძნობა მომავლის ადგილს ირჩევს... —
ეს არის შიში!..
ვიცი, ეს გრძნობა შენ ოდესღაც გამიქრე, ქშიშტოფ,
და სიყვარული ჩვენი სწორედ ასე დაიწყო.
... და გაყინული, ვით უცნობის ხელისგულები,
შენ მოიქციე შენს საკუთარ ხელისგულებში
ჩემი ხელები, გაყინვა რომ არ ასცდებოდათ,
და გულის სითბო დასძარი, რომ გაგეთბო; მაშინ
თხილამურებით ტყისპირებში გზას მივიკვლევდით,
მოულოდნელად, გახსოვს, ბინდი ჩამოდგა უმალ
და მხარი გვექცა...
ასეა თუ ისე, მე შენი
შიში მაქვს, უფრო სწორად, — შიში შენი ძალისა
რომელსაც ძალუძს ერთიანად დაგეუფლოს და...
მერე დაგტოვოს... (წინათგრძნობა მომავალისა
აი, ეს არის!) თუმცა ახლა მე საკუთარი
თავისა უფრო მეშინია, შენ კი გენდობი —
შენდამი ნდობის რწმენა ჩემში უმტკიცესია...
მაშასადამე, ოჯახიდან ერთხელ გასული

ანჯეი ცოლ-შვილს არასოდეს დაბრუნებია? —
მაგრამ ხომ დარჩა იგი თქვენთან?.. მე მსგვსი განცდა
ჩემი მშობლების მიმართ, ქშიშტოფ, არა მქონია...
ერთხელ ამგვარი უსიამო ფიქრიც გამიჩნდა:
„შენ ხომ დარჩები ჩემში, თუკი მამაჩემივით
შენც მიმატოვებ...“ ყველაფერი შეცვალა რამაც —
შიში მას მერე დამეუფლა შენდამი, ქშიშტოფ.

ქშიშტოფი

ერთ რამეს უნდა შევურიგდეთ ამთავით, ჩემო,
რომ სიყვარული არ არსებობს ბედის გარეშე.
თუ სიყვარულის არა ხდება გახლეჩა ბედით,
შეყვარებულთა გამარჯვების საწინდარია...
დიახ, ესაა სულ — არც მეტი და არც ნაკლები —
რაც საოცნებო თუა ზღვარი ადამიანის...

მეღვიძებოდა ღამღამობით და მაშინათვე
ფიქრებით შენკენ მოვილტვოდი, თან თავს საკუთარს
ვეკითხებოდი: უფლება კი მაქვს, მის გათოშილ
ხელისგულებს რომ ვუწვდი ხელებს, რათა გავათბო?..
აკი იმათი შეერთება შეგვაერთებდა
ჩვენც და ამგვარად სულ სხვა ხატი შეიქმნებოდა?.. —
რაც მოგვაქცევდა ახალ, ზიარ ვითარებაში!..

ეს ნეტარება ნეტავ მალე არ გახუნდება?..
ხანგრძლივ ვებრძოდი თავს საკუთარს და საფიქრალით
ძილგატეხილი ვიშორებდი ერთ აბეზარ ფიქრს —
გავქცეულიყავ! — ო, მე და შენ ამიერიდან
ერთად, მონიკა, ერთად უნდა დავძლიოთ გზები,
ბედი კიდეც რომ მამაჩემის ხვედრს მიმზადებდეს,

მალე მასავით განშორება მეც რომ მომიხდეს,
მაშინაც ერთად, ერთად უნდა ვიყოთ, მონიკა...

თუმცაღა უნდა დავივიწყოთ, რაც იყო ადრე
და ამთავითვე სულ სხვაგვარად ვაბრუნოთ ჩარხი!..
გამოწვევაა — სიყვარული — მარადიული,
რასაც გვიგზავნის, ვით წყალობას, უზენაესი;
გვიგზავნის... რათა გამოწვევა ბედის ჩვენც შევძლოთ
და მასთან შებმით სიყვარული გადავარჩინოთ...

მონიკა

ამიერიდან ერთად უნდა ვიაროთ, ქშიშტოფ,
გაუცხოების სიმუხთლემ რომც დამრიოს ხელი;
თუნდაც უცხოდ რომც გექცე, როგორც მამაჩემისთვის
უცნობად იქცა დედაჩემი... აი, მიზეზი
რისთვისაც დიდხანს მდევდა შიში სიყვარულისა!
ეს შიში დღესაც თან მდევს, იგი მიტოვებული
ადამიანის გამოწვევის არის საბაბი...
შენ გადაწყვიტე, ბედი შენი დაუკავშირო
ავადმყოფურად შთამბეჭდავი სულის გოგონას,
მის რთულ ბუნებას; შეუძლია ვისაც იოლად
საკუთარ თავში ჩაკეტვა და ვინც მერე ძნელად
სთმობს ხოლმე სამანს საკუთარი „მე"-ს სამალავის...
ეს გოგო იქნებ იმდენს გართმევს, რის გაღებასაც
ვერ შეძლებ, ხოლო თვითონ ძუნწად იძლევა რასმე?!
მე ამ თვისების გამო დედა მკიცხავდა ხოლმე,
ზოგჯერ — მკაცრადაც და ნამდვილად მართალიც იყო.
მე ამას ახლა ისე მკვეთრად, ისე მტანჯველად
ვგრძნობ, დედისეულ წუხილს უკვე გადავაჭარბე!..

ქშიშტოფი

არ შემიძლია უშენობა. ადამიანი
მისი „მსუბუქი ხასიათის“ გამო არ უყვართ...
რად უყვართ იგი? ან შენ რატომ მიყვარხარ ასე? —
ამ კითხვის პასუხს ნუ მოელი ჩემგან, მონიკა.
თავის მეწყვილეს სიყვარული წინ უსწრებს ანდა
იმდენად ახლოს მიდის მასთან, რომ მერე იგი
მხედველობიდან ეკარგება სულაც... და სწორედ
მაშინ არის, რომ უნებურად სხვაგვარ ფიქრს იწყებ,
ცივ განსჯას მაშინ სცვლის — „ცხოველი“, თუმცა ამავდროს
გრძნობათა სიღრმეს უნდა ჩაჰყვე შენ თურმე ისე,
შესაძლებლობის საზღვარს რაიც სცილდება, მხოლოდ
ერთი მიზეზით — მეწყვილე რომ ახლოა ძალზე...
თუმცაღა ერთი რამ მთავარზე არის მთავარი:
ვნებათაღელვის ქარიშხალის გადავლის შემდეგ
რა რჩება ჩვენში... ან ქარიშხალს რა ეწირება.
ეს კი ასეა, მონიკა, და იცი, რა უფრო
მახარებს? გრძნობათ მღელვარების დაწმენდის შემდეგ
კვლავ საცნაურს რომ ხდის გონება უბრალო საგნებს...

ტერესა

ანჯეი, სწორედ იმ საღამოს ვიგრძენ აშკარად,
მათ ბედს რა მძიმედ ვაწვებოდით, როგორ ვთრგუნავდით...
ო, უდღეური სიყვარული მშობლების, მგონი,
მონიკას ისე ღრმა ჭრილობად ჰქცეოდა, საწყალს,
ამით საკუთარ სიყვარულსაც ხიფათს უქმნიდა;
ქშიშტოფი ცდილობს მოუშუშოს მას ეს ტკივილი;
შენი ჩემდამი სიყვარული თუმც კი ესაგზლა,

ბიჭს უშენობის კვალიც აკი მკვეთრად ატყვია?!.
თუმც, ღმერთმა უწყის, ბრალეულნი ჩვენ სულაც არ ვართ, —
მაგრამ... მაწუხებს ერთი ფიქრი: გამოუცდელებს
ყრუ კედლად, შემფერხებელ ზღუდედ რომ არ აღუდგეთ...
საცხოვრისი რომ მოიძიონ, უნდა ივარგონ,
უნდა მრავალი დაბრკოლება დაძლიონ ერთად,
რომ დაიმკვიდრონ საკუთარის სულის კერია...
სადმე ფეხს თუ არ წაიკრავენ, კარგი იქნება! —
ჩვენ აკი მათში ძალზე დიდხანს, დიდხანს ვიცხოვრეთ!..
თუმცაღა უმალ დაგვეზარდნენ თვალს და ხელს შუა,
ჰორიზონტივით ნება-ნება ისე დაგვშორდნენ,
რომ მიუღწევლად გვეჩვენება ჩვენ ეს მანძილი;
მაგრამ რა? — სულ სხვა რამ გაირკვა მერე და მერე, —
თურმე ბევრი რამ ჩვენეულიც გაითავისეს:
მათ, გარეგანმა, ვერ უშველა ვერა ჯავშანმა,
სულშიგან მოხდა მათში ჩვენი აღმოცენება...
და (მზარავს ფიქრი!) რა თქმა უნდა, მათი ცხოვრება
გამოცდად იქცა ახლა — როგორ დასძლევენ იმას,
სიხარულის და ტანჯვის ფასად რაც ჩვენ შევქმენით!
(იმ სიყვარულზე, რაც წარსულში დარჩა, მე ახლა
ვერაფერს ვიტყვი, სათქმელადაც ძალზე რთულია!..)
აი, ადგილი სადაც როსმე ორნი ვიდექით
ისევე, როგორც დღეს ესენი დგანან. ფარდულის,
მახსოვს, იდუმალ ვიტრინაში ვიჰვრიტებოდით.
არსებობს თურმე წარუვალი ჰეშმარიტებაც,
დროდადრო კვლავ რომ გვიბრუნდება! ჰეშმარიტება
იგი, რაც გუშინ იყო ჩვენი ცხოვრების არსი,
დღეს უკვე იერს ღებულობდა მათი ცხოვრების...
მე ახლა მინდა მათთან მისვლა და მისალმება, —
მშვიდობა მინდა მონიკას და ქშიშტოფს ვუსურვო: —

უფლით საღამო მშვიდობისა ნუ მოგიშალოთ.
(მახსოვს, ანჯეი, აქ ჩემ გვერდით როგორ იდექი,
ვერც კი შეგნიშნე, როგორ გაჩნდი... პირველად შენი
მხოლოდ სხეულის ანარეკლი ვნახე მინაში,
და მხოლოდ ამის შემდეგ ვიგრძენ, რომ გვერდით მყავდი,
ხორციელ განცდას ვეზიარე შენსას მერეღა,
არც რა შეცვლილა იმ დღის მერე) — ჰო მართლა, ახლა
უნდა მივიდე მათთან, რათა მათაც გავანდო,
რომ არაფერი არ შეცვლილა... ადამიანი
აუცილებლად უბრუნდება იმ ადგილს, სადაც
იწყება მისი არსებობის სათავეები —
თანაც მას დიდი სურვილი აქვს, რომ ყოველივე
იყოს შემკული სიყვარულის შარავანდედით.
მე კარგად ვიცი, რომ მოხუცი ოქრომჭედელი,
რომელიც ახლა ოცზე მეტი წლით მოხუცია,
შემოგყურებდათ თქვენ და სურდა, თქვენი გულების
სიღრმეში ისე ჩაეხედა, ვით ჩვენ გულებში —
როცა თქვენსავით აქ ვედექით ოცი წლის წინათ;
გულდაგულ „ჩხრეკდა“ საქორწინო ბეჭდებს მოხუცი,
ყოფიერების თქვენის დონეს ბეჭდით სინჯავდა;
მისი სიცოცხლე ამ ბეჭდებმაც დაწრიტა ალბათ,
ხოლო უამრავთ ექცა იგი სიცოცხლის წყაროდ;
ანჯეი ისე დაიღუპა, ბეჭედი, მგონი, —
ღმერთი და რჯული — სულ ერთავად თითზე ეკეთა.
მე კი — თქვენც იცით — დღემდე ისევ იმავ ბეჭდით ვარ.

ქშიშტოფი

როცა მოხუცი საქორწინო ბეჭდებს გვიწვდიდა,
უმალ ვიგრძენი, ხელი როგორ აგიკანკალდა...

აღარც გვახსოვდა დედაჩემის დანაბარები, —
მოხუცისათვის ამ დროს თვალი არ მოგვეწყვიტა, —
მის თვალებს ჩვენთვის აკი ბევრი რამ უნდა ეთქვა!
მის თვალებში რომ ვერაფერი ამოვიკითხეთ,
სულაც არ არის ჩვენი ბრალი; მისი სიტყვები
მთლად ჩვეულებრივ სათქმელს ძუნწად თუ გადმოსცემდა.
ასე რომ, დედი, გასაკვირი სულაც არ არის,
მისი ნათქვამი ჩვენ სულს თუკი არ გაეკარა
(საყოველთაოდ ცნობილის მეტს არას ამბობდა!)
მე ბევრად მეტი, გაცილებით მეტი მონიკას
ათრთოლებულმა ხელმა მითხრა... და ერთიანად
დამინთქა მისმა მღელვარებამ და კიდევ იმან,
თუ რა ტალღებად გადმოვიდა ჩემშიც ეს გრძნობა
და მე ვიხილე, ამ ერთობლივ განცდის ტალღებში
ვით გაჩნდა ორის ერთარსება... ერთი ხატება...
მგონი, მონიკა, ძლიერ მიყვარს, ნამდვილად ძლიერ...

ტერესა

მეც სწორედ მაგის... მეშინოდა! ნუთუ მოხუცმა
ოქრომჭედელმა მთლად დაკარგა სიტყვის ძალა და
მომნუსხველობა ჭვრეტის?.. ანდა, იქნებ, ორთავემ
მისი სიტყვების არც კი იგრძნეს ფარული ძალა?!
იქნებ ესენი სხვაგვარები არიან?.. იქნებ?!
მე მათ „საღამო მშვიდობისა“ ვუთხარ და მალე
ქორწილის ირგვლივ ჩამოვარდა სიტყვა. მონიკა,
რაღა თქმა უნდა, მოყვა თავის მშობლების ამბავს;
მას სულიერი უკვე არც რა აკავშირებდა
მშობლებთან, მისი სიყვარული იმათ გარეშე
იბადებოდა — მათ ჯიბრზეც კი, ასე ეგონა!
რა მოგახსენოთ სხვისი, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, —

რომ შთამომავლის სიყვარულის ნერგი იზრდება
იმ ნიადაგით... უფხვიერეს რაიც მშობლებმა...
მონიკა ტკივილს იხსენებდა, მშობლების ტკივილს,
რომელიც თუმცა მათ სულებში თანდათანობით
ინკურნებოდა, მის სულს ჩრდილად მაინც რომ ედო...
ბავშვებო, ნეტავ რის შექმნა გსურთ? — როცა გრძნობები
თქვენი ერთმანეთს ეწინდება ისე, რომ მოხუც
ოქრომჭედლის სიტყვებს სულაც არ ეკარება?! —
არადა მასში, ვით სხეულში გული, ისე ძევს
იდუმალება ნებისმიერ ცოლქმრულ ცხოვრების!

მონიკა

მშობლებზე ვფიქრობ, აკი ესეც ბუნებრივია?
მე ფიქრით ახლა ქორწინების დღეს ვუტრიალებ
და ვცდილობ, იგი სახიერად წარმოვიდგინო, —
ძალიან მძაფრი, ცოცხალია ეს განცდა, ქშიშტოფ!
ეს წარმოსახვა თეატრალურ რეპეტიციას
უფრო ჰგავს, ალბათ, ჩემი ფიქრის და წარმოდგენის
თეატრში ასე გაცოცხლებულს ხელშესახებად!..
აი, მამაა მამისა და მეუღლის როლში,
დედა კი ცოლის როლს ასრულებს მისუნებურად;
უმტკივნეულოდ მათ სახეებს როგორ შევხედო?!

ო, ნეტავ როდის ვეღირსებით, ბოლოს და ბოლოს,
მხოლოდ ჩვენეულ უღელს?! ნეტავ როდის ვირწმუნებ,
რომ მამაჩემის ბუნებისა არა გცხია რა?!.
ნეტავ, უბრალოდ, შენ ქშიშტოფი როდის იქნები —
თავისუფალი ამ შემზარავ წარმოსახვისგან?!.
ო, როგორ მინდა შენი ვიყო სულით ხორცამდე,
მაგრამ ჯიუტად თავს ვერ ვუყრი ჩემეულ განცდებს!..

ᲥᲨᲘᲨᲢᲝᲤᲘ

ამბავი ჩვენი სიყვარულის ჩვეულებრივი
არ იყო, უფრო უცნაური ეთქმოდა, დედი! —
მონიკას გული არა მხოლოდ მონიკასათვის,
არამედ მისი მშობლებისთვის მოვინადირე...
რომლებსაც ადრე ვერ ვამჩნევდი კეთილგანწყობას
და მხოლოდ ახლა თუ შევნიშნე სითბო ჩემდამი...
მიუხედავად ყველაფრისა, მეც და მონიკაც
ვცდილობდით ერთად, რომ თვალნათლივ წარმოგვედგინა
როლი, რომელიც ჩვენს ქორწილში ორს ექნებოდა —
მონიკას მშობლებს!
მაგრამ, დედი, იმათი როლი,
შენ რომ გგონია, არ იქნება სულაც ისეთი!..
ადამიანებს შიგნიშიგან რაღაცა ხომ აქვთ?!.
ერთთავად მხოლოდ ნილბოსანნი ვერ იქნებიან!
შენი მშობლების სულში რაიც ხდება, შენ იცი?

ქორწინების დღეს შენ მის მშობლებს შორის იდგები,
მერე, მათ ბოდიშს მოუხდი და
ჩემკენ წამოხვალ.
ნეტავ თუ გახსოვს,
გვერდით როდის გედგნენ მშობლები?..
აქეთ-იქიდან თითო ბავშვი როდის ეჭირე?..
უფრო ადრე კი, როცა იყავ ჩვილი ძუძუთა,
როგორც კი მამა სახლის კარებს შემოაღებდა,
ალბათ, დედაშენს, ანას, უმალ იმას ჰკითხავდა —
ჭამა მონიკამ? მოიმატა წონაში რამე?
და, რა თქმა უნდა, ჩვილის წონას მიმატებული

თითო გრამიც კი აღტაცებას თუ ჰგვრიდა მშობელს;
ჩაძინებულს რომ დაგყურებდა, გულით ხარობდა
და აგიჟებდა, ალბათ, მერცხლის ჭყლოპინი შენი,
ამ დროს მას აკი სიყმაწვილე უბრუნდებოდა?!.

ამგვარი გრძნობა უკვალოდ ხომ არ გაქრებოდა!
მაშ ასე — ჩვენი ქორწინების დღე რომ დადგება
შენ თავს შენს მშობლებს წავგვრი მეტრფე, დაღვინებული
თანამეცხედრე... გულითადი... მოყვასი თქვენი,
უკვე მზადყოფი სიყვარულის ტკივილისათვის,
ჩვენ, ყველას ერთად, დიდ სიხარულს რომ მოგვანიჭებს
და ყველა ჩვენგანს იმ საზღვარს რომ მიგვაახლოებს,
ადამიანურ ენაზე, რომ, თუ არა ვცდები,
ჩვეულებრივად იწოდება „ბედნიერებად“.

ტერესა

ჩემი ქშიშტოფი, ჩემი შვილი, სულ იმას ცდილობს,
თავათ უმამომ, გაუწიოს მამობა, როცა
თვითონ მონიკას სათვალავშიც არა ჰყავს იგი!..
(—ეს უცნაური პროცესია, ჩემო მონიკა! —
როდესაც ჩვენი გონებიდან უჩინარდება
ადამიანი, ჯერაც ისევ-ისევ ცოცხალი,
მხოლოდ იმიტომ, ცნობიერად რომ არ გსურს იგი...
და კიდევ უფრო უცნაური ის არის, უკვე
ვინც „აღარ არის“, შთაგონებით შექმნა იმისი...
ქშიშტოფმა სწორედ შენც ამგვარად შეგქმნა, ანჯეი,
ხოლო ამჟამად მონიკაში სურს, რომ სტეფანი
და ანა შექმნას... შვილში ცდილობს მშობლების შექმნას...)

ქორწილს დაესწრო პატარძლის დედაც და მამაც,
მონიკა იდგა თეთრი კაბით მათ შორის; ხოლო
გვერდით ქშიშტოფი მე მომდევდა და... კიდევ ერთი —
მამობას ამ დღეს მას ადამი უწევდა; იგი
ის კაცი იყო, სულ ბოლოს ვინც ანჯეი ნახა...
ისინი ფრონტის მეგობრები ყოფილან, კაცმა
შინ დაბრუნების პირველსავე დღეს გვინახულა,
რაც ანჯეისა რამ იცოდა, წვრილად გვიამბო, —
ყვებოდა ვნებით, გრძნობით, განცდით... იქნებ ადამმა
ანჯეის ნაღდი სიყვარულიც თავისად იღო?!.
ნამდვილად გულით შეიყვარა ქშიშტოფი, ბავშვიც
გულით მიენდო, შეეჩვია და შეეთვისა,
მე არაერთხელ შევსწრებივარ ქშიშტოფს და ადამს,
თავდავიწყებულ საუბარში გართულებს... თანაც
მოცალეობის ჟამს კი არა, თავს არ ზოგავდა
როგორმე მამის მაგივრობა რომ გაეწია.
მართალი გითხრათ, ერთი ფიქრი შევჩქიფდი კიდეც,
იქნებ შუაში მე ვარ-მეთქი... ადრე თუ გვიან
იქნებ ხელიც კი მთხოვოს-მეთქი... მაგრამ ადამმა
მხოლოდ ესა თქვა: „ნებისმიერ კაცის მაგიერ
მე ვიქეც მისი ბედისწერის სვრელის გამტანად,
რადგან საწყისი მისი ისევ ჩემშია“... — ბევრი
თუმც ვერაფერი გავიგე რა მისი ნათქვამის,
მაგრამ ეს კია, დამეუფლა სიმშვიდე უმალ...
ყველა ბრწყინავდა, მონიკა ხომ — განსაკუთრებით...
შევატყვე, ქშიშტოფს ოდნავ ფერი შეცვლოდა. მერე
ერთმანეთისკენ ნება-ნება დაიძრა ორი...

ქშიშტოფმა ხელი გადახვია მხარზე მონიკას
და მალე ნეფე-დედოფალი დაწინაურდა...
მარჯვნივ, ზურგს უკან დარჩა ოქრომჭედლის ფარდული,
ოდნავ შეყოვდნენ ერთხანს... სანამ ბეჭდებს გაცვლიდნენ...
და მერე ისევ წინ წავიდნენ.
დანარჩენები
ჩამოვრჩით... უცებ გამახვენდა: ერთხელ ფარდულის
ვიტრინა როგორ გვექცა რაღაც უცნაურ სარკედ,
სარკედ, მყობადს რომ ირეკლავდა ჩვენსას იქამდე,
სად იდუმალი... იწყებოდა ო, ღმერთო, იქნებ,
სულაც — ა რ ც ო დ ნ ა ?.. რაც უცნაურ შიშსაც კი გვგვრიდა;
ვერ დაუდებდა ტოლს ეს შიში სიყვარულს, იგი,
რაღა თქმა უნდა, ბევრად უფრო მძლავრობდა მაშინ!..
აი, ჩვენები ფარდულს ასცდნენ... მაშასადამე,
ვერ აირეკლა ამ უცნაურ ვიტრინის სარკემ,
რაც იმას ნიშნავს, მომავლის გზის არრა უწყიან...
ან იდუმალი (თუ — არცოდნა?..) იქნება მათთვის
უმალ დაიწყო?.. მიიხუტა ნეფემ მონიკა
ისე, რომ წამით სვლა არც ერთს არ შეუწყვეტია.

... ქშიშტოფი გრძნობდა, მშობლებზე რომ ფიქრობდა იგი
და სურდა მისი საგონებლის შეცვლა სხვა ფიქრით.

მე ადამს გავყევ. სხვა ყველანი ერთად დავტოვე...
ინტუიცია ქშიშტოფისა რამდენად სწორი
იყო, ვერ ვგრძნობდი, ფიქრით ამას ვუტრიალებდი...

ანა

აქ თუ გნახავდი, არ მეგონა, ადამ, ღმერთმანი,
შენი სახელის ხსენებაც კი მიჭირს აქამდე.
ხომ გახსოვს, სწორედ ამ ადგილას მოულოდნელი
საუბარი რომ წამოიწყე? მაშინ ამბობდი —
მალე სასიძო ჩაივლისო ამ ტროტუარით...
მე მაშინ მძინარ ქალწულებთან ერთად ველოდი!
სხვები კი ვაჟის შესახვედრად ყელყელაობდნენ,
თითოეული ანთებული ლამპრით ხვდებოდა.
ბოლოს, ავდექ და მეც მათ გავყევ; როცა გამოჩნდა
და როცა ახლო დავინახე ვაჟი, გავქვავდი,
მას სახე ჰქონდა სტეფანისა... აღარ ვიცოდი,
რა მექნა, ოღონდ გაქცევა რომ მომინდა, ვიცი.

გგონია ამას შევურიგდი?..
შინაგანი ხრწნის
განცდა უკვალოდ არ გამქრალა... ვერ შევიძელი,
გაიგივება ვერ შევძელი ამ ორი სახის.

მე ადრინდელი სიყვარული — ქალწულებრივი —
ამ კაცისადმი დამშრობოდა სულმთლად, ვით წყარო,
მიწიდან კვლავ რომ ვეღარასდროს ამოდუღდება...

ხშირად მინდოდა, გულწრფელად რომ მერწმუნა მისი,
მსურდა იმისი დაჯერებაც, რომ გარკვეული
რაღაც წესრიგი ყველაფერში და ყველგან არის,
რომ ჰარმონია ჭეშმარიტად არსებობს ყველგან,
მაშასადამე — ჩემს საკუთარ ცხოვრებაშიაც...

ამასთანავე — ამოვიგდე ზიზღი გულიდან,
მოყენებული ამოვიგდე მისგან ჭრილობა,
გაბზარულ გულის ტკივილიც კი დავძლიე თითქოს,
დანაშაულის ჩემშიც ვიწყე ძიება, აკი
არც მე ვიყავი უცოდველი! უმძიმეს კამათს
მე არ ვიწყებდი? და თუ ვწყვეტდი — მხოლოდ იმიტომ,
რომ უთქმელობით იგი უფრო მეტად მომეკლა...

თვითონ, თვითონ თუ შეიცვალა? არ ვიცი. მე კი
მოწამებრივი გამომნელდა ტკივილის განცდა
და, მგონი, მასაც ეიოლა ჩემ გვერდში დგომა;
მგონია, ჩვენი დაშორების დიდი სისწრაფე
უკვე თანდათან კლებულობდა ან სულაც გაქრა...

ერთმანეთისთვის ცხოვრებისთვის შეგვრჩა კი რამე?! —
არა! ჩვენ უკვე შვილებისთვის ვცხოვრობდით მხოლოდ;

უმეტეს რთული ბავშვებს შორის არის მონიკა,
ყველაზე მეტად ყოველივე მის სულს შეეხო...
და აი, ახლა გვტოვებს კიდეც, ასე მგონია,
წარმოუდგენლად ნაადრევად და თან მიჰყვება
რწმენა მშობლების უმძიმესი დანაშაულის.

(ეს განაჩენი, იქნებ, მართლაც მეტისმეტია?!)

გამოცხადება სასიძოსი, სტეფანის სახით
რომ მოხდებოდა, ამას ახლა თუ ვხვდები... მაგრამ
იმ ქალიშვილებს შორის ერთი მე ვიყავ, ვისაც
ჭკუასთან ერთად ლამპრისათვის ზეთიც... არ ეყო! —
... და ნება-ნება სულს ღაფავდა ლამპარში ცეცხლი,
ჩემ სულთან ერთად ნთქავდა იგი უზეთო პატრუქს...

იმ საღამოს ანა ისევ ვნახე. მრავალი წლის გასვლის მიუხედავად, სასიძოსთან შეხვედრის განცდას გულში ცოცხლად ატარებდა. სიყვარულის ხის დამწყურებლის გზას დასდგომოდა... მიხვედრილიყო, რომ სიყვარულის წილ სიყვარული კი უნდა გაეღო, მაგრამ ახლა უკვე სულ სხვა ზომიერებით, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა... გარდატეხა მასში სწორედ დიდი ხნის წინანდელ, იმ საღამოს მოხდა.

... მაშინ ყველაფერს განადგურება ემუქრებოდა.... ახალი სიყვარული სწორედ სასიძოსთან შეხვედრით უნდა დაწყებულიყო. ამ შეხვედრამ ანას ერთხანს სატანჯველიც კი გაუჩინა, თუმცა დროთა განმავლობაში, თანდათანობით სიმშვიდე დაეუფლა... ახლად გაჩენილი გრძნობა ანაში კიდევ დიდხანს ფეთქავდა და, რაც მთავარია, სიყვარულის „გემოს“ მოკლებული იყო... იქნებ, ოდესმე, ადამიანმა ამ „ახალი“ გრძნობის გემოს გაგებაც ისწავლოს?!. ყოველ შემთხვევაში, ამგვარ შესაძლებლობასთან ანა უფრო ახლო იყო, ვიდრე სტეფანი; ამის მიზეზი, ჩვეულებრივ, წარსულში იდო. ძირითადი შეცდომა იქ იყო დაფარული. საქმე ის არის, რომ ხალხს სიყვარული, როგორც აბსოლტი, ისე იპყრობს... მაგრამ ხარისხი მისი სიყვარულისა სხვა არის, სულ სხვა, ადამიანები, ილუზიის ტყვეობაში მოხვედრილები, არ ცდილობენ სიყვარულს თავისი სიყვარული დაუკავშირონ, დაუკავშირონ ის, რისი დვრიტაც მათშივე ძევს... მათ ეჭვადაც კი არ ეკარებათ ის, რისი აუცილებლობაც უეჭველია... ადამიანები დაბრმავებულები არიან არა იმდენად გრძნობათა სიჭარბით, რამდენადაც შემრიგებლობის სიღატაკით, მისი არარსებობით. — შემრიგებლობისა იმის წინაშე, რითაც სიყვარული თავისი ჭეშმარიტი არსით უნდა გამოიხატებოდეს. ვისაც უკეთ ესმის ეს, ხიფათი ნაკლებად ემუქრება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ხიფათი მართლაც დიდია: სიყვარული სინამდვილის წნეხს ვერ უძლებს... ო, როგორ მეცოდებოდა მაშინ, იმ შორეული საღამოს ბინდში, იმ

ბინდის ბადეში მოხვედრილი ანა, როგორ მეცოდებოდა სტეფანი! ისინი უკვე სამი მოზარდის მშობლები იყვნენ (ყველაზე მკვეთრად ყველაფერს მონიკა განიცდიდა!); მე მათი საცოდაობით ადგილს ვერ ვპოულობდი. წარმოიდგინეთ, ანჯეიზე მეტად ისინი მეცოდებოდნენ... როცა ფრონტზე, პოზიციის დასაზვერად მიმავალი ანჯეი მემშვიდობებოდა, მითხრა — ვეღარ დავბრუნდებიო... აბა, რა უნდა მექნა, ცოლისათვის და ობლისათვის ეს ხომ უნდა მეთქვა?!

როგორც შემეძლო, ქშიშტოფს მამის მაგივრობას ვუწევდი, მამისა, ვის სანაცვლოდ მე მაშინ სიკვდილი არ მეწერა... ადამიანური არსებობა სიყვარულისთვის ზოგჯერ ძალზე ხანმოკლეა. მაგრამ ზოგჯერ პირიქით ხდება — ადამიანური სიყვარული ძალიან ხანმოკლე გგონია ადამიანის არსებობასთან შედარებით — ანდა, უფრო სწორად, ეს წამისწამია მხოლოდ და მეტი არაფერი; ყოველ შემთხვევაში, ყველას თავისი წილი არსებობისა და სიყვარულისა კი ეძლევა, მაგრამ... მაგრამ... რა ქნას? როგორ აქციოს ისინი ერთ მთლიანობად? ეს მთლიანობა „ყველაფერთან" ერთად, შენში არასოდეს უნდა გამოიკეტოს; იგი შენთვის იმდენად უნდა იყოს გამოსაჩენი, რომ, ერთის მხრივ, სხვებსაც გადასცე გაკვეთილად, მეორის მხრივ კი — აბსოლუტური არსებობისა და სიყვარულის გამომხატველი იყოს ყოველთვის, რომ ყოველთვის რაღაცნაირი ხერხით გამოიხატოს იგი. აი, საბოლოო აზრი თქვენი ბედისა

ტერესა!
ანჯეი!
ანა!
სტეფან!

და თქვენი —

მონიკა!
ქშიშტოფ!

ყველა ჩვენგანი ჩამოთვალა ადამმა; მხოლოდ,
მხოლოდ თავისი სახელი არ უხსენებია.
იგი, ასე ვთქვათ, ჩვენ საერთო მედროშედ გვექცა
და მოსარჩლედ და მოსამართლედ იმავდროულად, —
ჩვენც შეუმჩნევლად ვეჩვეოდით იმის ნააზრევს,
ვეთვისებოდით მისი გულის, გონების ნაყოფს...
აი, ეს იყო, რაც... იყო და არა იყო რა, —
რაიც წარსულის კუთვნილებად იქცა ან რაღაც
ერთ მთლიანობად.
ძნელი იყო, გულით და ფიქრით
ახალგაზრდებს რომ მოწყვეტოდი, — ძალიან ძნელი;
... და როცა დადგა მონიკას და ქშიშტოფის ჯერი,
მათ რაღაც ხერხით ერთიანი, აბსოლუტური
არსებობა და სიყვარული გამოავლინეს...
ამ ხერხს რა ჰქვია? ან რა არის? აი, საკითხი,
რისი პასუხი არ არსებობს! — რა უნდა იყოს?!
(უკვე სარკეც კი არსად იყო... მე და ანჯეიმ
უახლოესი მომავალი ჩვენი ოდესღაც
სადაც ვიხილეთ!), სამწუხაროდ, ოქრომჭედელმაც
უკვე დაკეტა სახელოსნო, ხოლო მონიკა
ქშიშტოფთან ერთად უკვე კარგა მანძილით გაგვცა...
უწყიან ნეტავ, მათ რა უნდა წარმოაჩინონ?
უმჯობესია იქნებ, იმათ კვალს ჩვენც რომ მივყვეთ?..
თუმცაღა, აკი საკუთარი ჭკუა მათაც აქვთ,
ადრე თუ გვიან
აქ ისინიც დაბრუნდებიან,
დაბრუნდებიან უსათუოდ, ისინი ახლა

მოსაფიქრებლად მხოლოდ მცირე ხნით გადგნენ განზე —
რომ შექმნან რაღაც იმდაგვარი, რაც გამოხატავს
არსს აბსოლუტურ არსებობის და სიყვარულის
აბა, ამაზე უკეთესს რას მოიფიქრებენ?!
... მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ და ამისი არა ვიცით რა.

სტეფანი

პირადად მე ვერაფერი გავიგე, ჯერ ადამისა და მერე ტერესასი, ქმიშ-ტოფის დედისა... ჯერ კიდევ ადრე, ანა აღსარებით... გაენდო ადამს და თავისი ცხოვრების ბოლოდროინდელი ამბები წვრილად მოუყვა. რო-გორც კ ი ს ა ს ი ძ ო ზ ე თხრობა დაამთავრა, ვისაც, მისი თქმით, თით-ქოს „ჩემი სახე უნდა ჰქონოდა“, მაშინვე სიტყვა მონიკაზე ჩამოაგდო. ერთი რამ, ყველა დანარჩენზე უკეთ, მე ვიგრძენი: რადაც არ უნდა დაუჯდეს, მონიკა ჩვენგან გაქცევას მიელტვის.

რა ხდება? რატომ ხდება? ჩემთვის სრულიად გაუგებარია, „აბსოლუ-ტური ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა და ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გამოხატვა“ რას ნიშ-ნავს, მაგრამ მონიკამ „წასასვლელად“ რაკი ასე გაიწია, მაშასადამე — ამაში ეჭვიც კი არ მეპარება — ამისი თავი და თავი მიზეზი ისევ ჩვენშია, ამაში უცოდველი არც მე ვარ და არც ანა. მე ცხადლივ წარმოვიდგინე ეს ყოველივე და ტკივილი უფრო მომეძალა. ახლა, უკვე მრავალი წლის შემდგომ პირველად, სულის გახსნა მომინდა, რომ ყველაფერი ანასთვის და მხოლოდ ანასთვის გადამეშალა (შესაძლოა, ეს საკუთარი დანაშაუ-ლის აღიარების ცდა იყო, ანდა — უფრო სწორად — ცდა იმისი აღიარე-ბისა, რომ დანაშაულში ბრალი ორთავეს მიგვიძღვის...). ასეა თუ ისე, მივედი მე მასთან, მხარზე ხელი დავადე (რაც უკვე დიდზე დიდი ხანია აღარ მიქნია) და ვთქვი:

დასანანია, რომ ხანგრძლივი გამოხდა ხანი,
რაც, სამწუხაროდ, თავს ბავშვებად ვეღარ ვგრძნობთ, ანა,
რის გამოც უღვთოდ განვიძარცვეთ და გავღარიბდით...

1960

რედაქტორი ბესიკ ხარანაული
მხატვრული რედაქტორი გურამ ღლონტი
ტექ. რედაქტორი ზაირა დონდუა
კორექტორი მარინე ინანიშვილი

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ნაკადულის"
კომპიუტერულ ცენტრში

გადაეცა ასაწყობად 26. 10. 99. ქაღალდის ზომა 70x108 1/32
ბეჭდვა ოფსეტური, შკკ. 64

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი
კონსტანტინე გამსახურდიას გამშირი №28

Ш.ჰ.ს. გაზეთი „საქართველოს მაცნე"
გრიგოლ რობაქიძის №7.